UNHCR-ის პოზიცია სამხრეთ და ცენტრალურ სომალიში დაბრუნების პროცესთან დაკავშირებით (I განახლებული ვერსია)

შესავალი

1. ზოგადად აღიარებული ფაქტია, რომ ფართომასშტაბური გაჭიანურებული იძულებითი გადაადგილების პრობლემის გადაჭრა ძირითადი საკითხი იქნება სომალიში მდგომარეობის სტაბილიზებისა და მშვიდობის კონსოლიდირების პროცესში.[1] ამ ფონზე, 2013 წლის ნოემბერში, სომალის ფედერალური რესპუბლიკის მთავრობამ, კენიის მთავრობამ და UNHCR-მა ხელი მოაწერეს სამმხრივ შეთანხმებას, რომელიც სამართლებრივ ჩარჩოს აყალიბებს კენიიდან სომალელ ლტოლვილთა სომალიში ნებაყოფლობითი დაბრუნებისთვის.[2] შეთანხმებაში კონკრეტულად არის ნათქვამი, რომ ყველა დაბრუნება უნდა იყოს ნებაყოფლობითი და უნდა განხორციელდეს უსაფრთხოდ და ღირსეულად. 2015 წლის ივლისში, და ეს მაშინ, როდესაც აღიარებდნენ, რომ სომალიში უსაფრთხოების სიტუაცია იყო მყიფე და ცვალებადი, კენიიდან სომალელ ლტოლვილთა ნებაყოფლობითი დაბრუნების სამმხრივმა კომისიამ სამოქმედო დეტალები შეათანხმა კენიიდან სომალელ ლტოლვილთა უსაფრთხო, ღირსეული და ნებაყოფლობითი რეპატრიაციისთვის.[3]

---

[1] ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭო/გადაადგილების მონიტორინგის ცენტრი (NRC/IDMC), სომალი: მილიონზე მეტ იგპ-ს სჭირდება მხარდაჭერა ადგილობრივი გადაწყვეტისთვის, 2015 წლის 18 მარტი, http://www.internal-displacement.org/assets/Uploads/201503-af-somalia-overview-en.pdf, გვ. 2-3.

[2] UNHCR-ი, *სამმხრივი შეთანხმება კენიის რესპუბლიკის მთავრობას, სომალის ფედერალური რესპუბლიკის მთავრობასა და გაეროს ლტოლვილთა უმაღლეს კომისარს შორის კენიაში მცხოვრები სომალელი ლტოლვილების ნებაყოფლობითი დაბრუნების რეგულირების შესახებ, 2013 წლის 10 ნოემბერი,* http://www.refworld.org/docid/5285e0294.html

[3] ერთობლივი სტრატეგია და სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს 2015-2019 წლებში 435 000 სომალელი ლტოლვილის ნებაყოფლობით ეტაპობრივ დაბრუნებას და იგი დაფუძნებულია ნებაყოფლობითი რეპატრიაციის საპილოტე ფაზაზე (2014 წლის დეკემბრიდან 2015 წლის ივნისამდე), რომლის ფარგლებშიც 2589 სომალელი ლტოლვილი ნებაყოფლობით დაბრუნდა წარმოშობის ადგილზე.

2015 წლის ოქტომბერში, სომალიში წარმატებული და მდგრადი დაბრუნებისა და რეინტეგრაციისათვის სასურველი პირობების შექმნის ხელშეწყობის მიზნით, მინისტერიალის კონფერენცია[4] ჩატარდა სომალელ ლტოლვილთა საკითხზე, რომელიც ერთობლივად მოამზადეს ევროპის კავშირმა და UNHCR-მა. კონფერენცია მიზნად ისახავდა რესურსების მობილიზებას როგორც კენიისთვის, ისე სომალისთვის, კენიიდან სომალელ ლტოლვილთა მდგრადი დაბრუნების და რეინტეგრაციის ინტეგრირებული სამოქმედო გეგმის საფუძველზე.[5]

2.სომალის მრავალ კუთხეში არ არის ხელმისაწვდომობა პირველადი მოთხოვნილების საგნებზე, როგორიცაა წყალი და სანიტარული პირობები, ასევე, ჯანმრთელობის დაცვასა და განათლებაზე; იქ, სადაც, ასეთი სერვისები არსებობს, მათი შესაძლებლობები ხშირად შეზღუდულია.[6] შეშფოთება გამოითქვა იმასთან დაკავშირებით, რომ მეზობელი ქვეყნებიდან დაბრუნების მოძრაობის გააქტიურებამ

დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. UNHCR, *კენიიდან სომალელ ლტოლვილთა ნებაყოფლობითი დაბრუნება და რეინტეგრაცია, საპილოტე ფაზა* (2014 წლის დეკემბრიდან 2015 წლის ივნისამდე), *შეფასების ანგარიში (დაუთარიღებელი),*http://www.unhcr.org/560b962f9.html; UNHCR, *განმარტებითი ბარათი, ინტეგრირებული სამოქმედო გეგმა კენიიდან სომალიში სომალელ ლტოლვილთა მდგრადი დაბრუნებისა და რეინტეგრაციისთვის,* 2015 წლის ოქტომბერი, http://www.unhcr.org/561e55049.html; UNHCR, *2016-2017 წწ სამოქმედო გეგმა: ინტეგრირებული სამოქმედო გეგმა კენიიდან სომალიში სომალელ ლტოლვილთა მდგრადი დაბრუნებისა და რეინტეგრაციისთვის,* 2015 წლის ოქტომბერი, http://www.unhcr.org/561e54069.html.

[4] UNHCR, *მინისტერიალის მიზნობრივი კონფერენცია სომალელ ლტოლვილთა შესახებ: პირობების შექმნა ნებაყოფლობითი დაბრუნებისთვის (დაუთარიღებელი),* http://www.unhcr.org/pages/55fac9aa6.htm

[5] UNHCR, *კენიიდან სომალელ ლტოლვილთა ნებაყოფლობითი დაბრუნების სამმხრივი კომისია, ერთობლივი კომუნიკე, 2015 წლის 30 ივლისი,* http://www.refworld.org/docid/5608e2234.html. დამატებითი ინფორმაცია მიზნობრივი კონფერენციის შესახებ იხ.: http://www.unhcr.org/pages/55fac9aa6.html; და UNHCR, *მიზნობრივ კონფერენციაზე 94 მილიონი ევრო შეგროვდა სომალელ ლტოლვილთა შინ დასაბრუნებლად,* 2015 წლის 21 ოქტომბერი, http://www.unhcr.org/562896076.html. 2013 წლის ნოემბერში UNHCR-მა სათავე დაუდო გლობალურ ინიციატივას სომალელ ლტოლვილთა შესახებ (GISR). ამ ინიციატივის ფარგლებში, 2014 წლის აგვისტოში, დაინტერესებული მხარეები შეიკრიბნენ, რათა (ა) ჩამოეყალიბებინათ განახლებული ვალდებულებები სომალელ ლტოლვილთა მიმართ, (ბ) შეეთანხმებინათ საერთო პლატფორმა მათი პრობლემების გადაწყვეტისთვის, და (გ) განევითარებინათ ამ ამოცანებზე საერთაშორისო თანამეგობრობის კონცენტრირების პროცესი. ამ შეხვედრის შედეგად, 2014 წლის 20 აგვისტოს, მიღებული იქნა ადის-აბებას ვალდებულება სომალელ ლტოლვილთა მიმართ. დამატებითი ინფორმაცია იხ.: UNHCR, *უმაღლესი კომისრის გლობალური ინიციატივა სომალელი ლტოლვილების შესახებ* (დაუთარიღებელი),http://www.unhcr.org/pages/527b8f7d6.html; და UNHCR, *უმაღლესი კომისრის გლობალური ინიციატივა სომალელი ლტოლვილების შესახებ, მოხსენება მინისტერიალის შეხვედრაზე,* 2014 წლის 20 აგვისტო, http://www.unhcr.org/550befe49.html. იხ. აგრეთვე, UNHCR, ადის-აბებას ვალდებულება სომალელ ლტოლვილთა მიმართ, 2014 წლის 20 აგვისტო, http://www.unhcr.org/540dac2c6.html.

[6] გაეროს ჰუმანიტარულ საქმეთა კოორდინაციის ოფისი (OCHA), *2016, სომალის ჰუმანიტარულ საჭიროებათა მიმოხილვა,* 2015 წლის 25 ნოემბერი, https://www.humanitarianresponse.info/en/operations/somalia/document/2016-somalia-humanitarian-needs-overview

შეიძლება დაძაბულობა გამოიწვიოს ადგილობრივ თემებსა და იძულებით გადაადგილებულ პირთა შორის, რომლებიც დაზარალებულ ტერიტორიებზე ცხოვრობენ, რაც მზარდ ზეწოლას მოახდენს მყიფე სერვისებზე.[7] ანალოგიურად, მიწაზე და საკუთრებაზე გაზრდილმა კონკურენციამ შეიძლება შემდგომი კონფლიქტები გამოიწვიოს და ზიანი მიაყენოს უსაფრთხოების სიტუაციას.[8]

უსაფრთხოების სიტუაცია

3. მოგადიშუში და სომალის სამხრეთ და ცენტრალურ რეგიონებში ზოგადი სიტუაცია კვლავ ცვალებადია.[9] შეინიშნება კონფლიქტის სხვადასხვა დინამიკა, რომელშიც

---

[7] UNHCR, *2016-2017 წწ სამოქმედო გეგმა, სომალელი ლტოლვილების კენიიდან სომალიში მდგრადი დაბრუნების და რეინტეგრაციის ინტეგრირებული სამოქმედო გეგმა, 2015 წლის ოქტომბერი,* http://www.unhcr.org/561e54069.html, გვ. 40, 44, 50. იხ. აგრეთვე, UNHCR, სიტუაცია იემენში: რეგიონის ლტოლვილებსა და მიგრანტებზე რეაგირების გეგმის მიმოხილვა, 2015 წლის ოქტომბერი-დეკემბერი/2016 წლის იანვარი-დეკემბერი (წინასწარი შეფასება), 2015 წლის 5 ოქტომბერი, http://www.refworld.org/docid/561378d24.html. კენიიდან დაბრუნებულებმა, რომლებთანაც ინტერვიუ ჩაატარეს იუსტიციის ფორუმისა და იურისტთა კომისიის წარმომადგენლებმა, განაცხადეს, რომ 2014 წელს მოგადიშუში დაბრუნების შემდეგ ისინი ცხოვრობდნენ იძულებით გადაადგილებულ პირთა პირობებში. ინტერვიუებზე დაყრდნობით, მათ ცხოვრების რთული პირობები აქვთ, არა აქვთ წვდომა სურსათზე და წყალზე, ბანაკები არის გადატვირთული, მათ ბავშვებს არა აქვთ წვდომა განათლებაზე, ასევე გამოთქვამენ შეშფოთებას უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით. ზოგიერთი მათგანი შიშობს, რომ სამთავრობო ძალები მათ ალ-შაბაბის წევრობას დასწამებს. იუსტიციის ფორუმი და იურისტთა საერთაშორისო კომისია, *ღირსებაზე უარს ეუბნებიან: კენიიდან გაძევებული სომალელი ლტოლვილების მდგომარეობა 2014 წელს,* 2015 წლის 4 თებერვალი, http://www.refworld.org/docid/565da2fba.html, გვ. 15, 22, 25, 28, 33, 40.

[8] დაბრუნებულთა მზარდი რაოდენობის შედეგად მიწასთან და საკუთრებასთან დაკავშირებულმა დავებმა იმატა, ასევე გახშირდა იგპ-თა იძულებითი გამოსახლების და ადგილმონაცვლეობის ფაქტები. NRC/IDMC, *სომალი:* მილიონზე მეტ იგპ-ს სჭირდება მხარდაჭერა ადგილობრივი გადაწყვეტისთვის,2015 წლის 18 მარტი, http://www.refworld.org/docid/550fcb244.html, გვ. 9-11. იხ. აგრეთვე, Legal Action Worldwide და ლტოლვილთა ნორვეგიული საბჭო, *საცხოვრისი, მიწა და ქონება სომალიში, პრობლემის წინაშე მდგარი პირები სომალიში და სამხრეთ და ცენტრალურ სომალიში,* 2014 წლის ოქტომბერი, http://www.refworld.org/docid/565da3ed4.html, გვ. 27-29, 36-37

[9] გაეროს უშიშროების საბჭო(UNSC), *გენერალური მდივნის მოხსენება სომალის შესახებ, 2016 წლის 8 იანვარი,* S/2016/27, http://www.refworld.org/docid/5698a0b64.html, პარ. 12. ტონი ბლერის განცხადებით, 2016 წლის თებერვალში 'სომალი კვლავ მომაკვდინებელი ქვეყანა არის სამოქალაქო პირებისთვის, 107 ადამიანია მოკლული'. Tony Blair Faith Foundation, *გლობალური ექსტრემიზმი 2016 წლის თებერვალში,* http://tonyblairfaithfoundation.org/sites/default/files/Extremism%20Monitor%2002.16.pdf, გვ. 3. 2016 წლის იანვარში სომალიში „იმაზე მეტი ძალადობრივი ექსტრემიზმის ინციდენტი მოხდა, ვიდრე ნებისმიერ სხვა ქვეყანაში". Tony Blair Faith Foundation, *გლობალური ექსტრემიზმი 2016 წლის იანვარში,* http://tonyblairfaithfoundation.org/religion-geopolitics/reports-analysis/report/global-extremism-january-2016, გვ. 7-8. "უსაფრთხოების არამდგრადი სიტუაცია მიმდინარე წლის [2015] დასაწყისში გაუარესდა, რის გამოც კიდევ უფრო გართულდა დახმარებისა და დაცვის სერვისების მიწოდება". OCHA, *2016 სომალის ჰუმანიტარულ საჭიროებათა მიმოხილვა,* 2015 წლის 25 ნოემბერი, https://www.humanitarianresponse.info/en/operations/somalia/document/2016-somalia-humanitarian-needs-overview გვ. 11. 2016 წლის იანვარში, 'Armed Conflict Location and Event Data (ACLED)' პროექტმა გამოაქვეყნა ინფორმაცია, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში ყოველ 100 000 მოსახლეზე შეიარაღებულ კონფლიქტთა ყველაზე მეტი ინციდენტი (19,4) სომალიში დაფიქსირდა, მაშინ როცა

მონაწილეობენ ალ შაბაბი, ტომთა შეიარაღებული ჯგუფები და ინტერკლანური დაპირისპირებული ჯგუფები.[10] არსებული ინფორმაციის თანახმად, დესტაბილიზაციის ძირითადი ფაქტორი არის ძალადობა დაპირისპირებულ ტომთა და თემთა შეიარაღებულ ჯგუფებს შორის.[11] როგორც ცნობილია, ასეთ ძალადობას ხშირად აღვივებს დავები მიწების ხელში ჩაგდებისა და პოლიტიკური კონტროლი მოპოვების მიზნით.[12]

აფრიკაში საშუალო მაჩვენებელი არის 1,2 მოვლენა (ყოველ 100 000 მოსახლეზე). ACLED-მა ასევე აღნიშნა, რომ 'სომალიში ბრძოლების ყველაზე მეტი რაოდენობა ხდება აფრიკის კონტინენტის ფარგლებში: 2015 წელს 1296 საბრძოლო მოქმედება დაფიქსირდა'. 2015 წელს შეიარაღებული კონფლიქტების ეს მაღალი დონე მაინც უფრო მცირეა 2014 წელთან შედარებით; ACLED-ის ინფორმაციით 2015 წელს სომალიში ასეთი მოვლენები წინა წელთან შედარებით 20%-ით შემცირდა. ACLED, *კონფლიქტის ტენდენციები (No. 45) Real-Time Analysis of African Political Violence,* 2016 წლის იანვარი, http://www.acleddata.com/wp-content/uploads/2016/01/ACLED_Conflict-Trends-Report-No.45-January-2016_pdf.pdf, გვ. 2, 3. 2015 წლის ნოემბერში, ადამიანის უფლებებში გაეროს გენერალური მდივნის თანაშემწემ, ივან სიმონოვიჩმა, სომალიში მისი ხუთდღიანი ვიზიტის დასასრულს, მოგადიშუში ჟურნალისტებს უთხრა, რომ 'მიუხედავად ინტენსიური გამოწვევებისა, სომალის უსაფრთხოების სიტუაცია მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა'. ამავდროულად, მან „ხაზგასმით მიუთითა, რომ სომალი 'ადამიანის უფლებათა მთელი რიგი პრობლემების' წინაშე დგას, როგორიცაა ბოლო პერიოდში სამხედრო ოპერაციების დროს ჩადენილი ადამიანის უფლებათა უხეში დარღვევები". გაეროს ახალი ამბების სამსახური, *სომალი: გაეროს მაღალი თანამდებობის პირი მოუწოდებს გლობალური მხარდაჭერისაკენ ადამიანის უფლებათა სიტუაციის გაუმჯობესების მიზნით,* 2015 წლის 17 ნოემბერი, http://www.refworld.org/docid/564ee93640b.html

[10] აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, *2015 წლის მოხსენება ქვეყანაში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ - სომალი,* 2016 წლის 13 აპრილი, http://www.refworld.org/docid/5716120a8.html

[11] თავშესაფრის მხარდაჭერის ევროპის ოფისი (EASO), *მოხსენება წარმოშობის ქვეყნის ინფორმაციის შესახებ,* 2016 წლის თებერვალი, http://www.refworld.org/docid/56e157934.html (შემდგომში: EASO, *COI მოხსენება სომალიში უსაფრთხოების სიტუაციის შესახებ*), გვ. 51-53; NRC/IDMC, *გლობალური მიმოხილვა 2015: კონფლიქტისა და ძალადობის შედეგად იძულებით გადაადგილებული პირები - აღმოსავლეთი აფრიკა, 2015 წლის 6 მაისი,* http://www.refworld.org/docid/55a61760e.html; გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, *დამოუკიდებელი ექსპერტის მოხსენება სომალიში ადამიანის უფლებათა სიტუაციის შესახებ, 2015 წლის 28 ოქტომბერი,* A/HRC/30/57, http://www.refworld.org/docid/565eb3434.html (შემდგომში: OHCHR, *დამოუკიდებელი ექსპერტის მოხსენება*), პარ. 8. "ალ-შაბაბის სამხედრო მარცხის შედეგად ტერიტორიების დაკარგვას არ მოჰყოლია იქ ალტერნატიული ქმედითი სამოქალაქო ადმინისტრაციის შექმნა, რის შედეგადაც კვლავ გაღვივდა თემთაშორისი კონფლიქტები სომალის სამხრეთ და ცენტრალურ ნაწილში." UNSC, *უშიშროების საბჭოს კომიტეტის თავმჯდომარის 2015 წლის 9 ოქტომბრის წერილი, რომელიც მან გაუგზავნა უშიშროების საბჭოს თავმჯდომარეს სომალისა და ერითრეას შესახებ 751 (1992) და1907 (2009) რეზოლუციების მიღების შემდეგ, სომალისა და ერითრეას მონიტორინგის ჯგუფის ანგარიში უშიშროების საჭოს 2182 (2014) რეზოლუციის შესაბამისად: სომალი,* 2015 წლის 19 ოქტომბერი, http://www.securitycouncilreport.org/atf/cf/%7B65BFCF9B-6D27-4E9C-8CD3-CF6E4FF96FF9%7D/s_2015_801.pdf (შემდგომში: UNSC, *სომალის მონიტორინგის ჯგუფის ანგარიში*), გვ. 6

[12] მაგალითად, სადაც მთავრობის მხარდამჭერმა ძალებმა და AMISOM-ის ჯარებმა ალ-შაბაბს სახლები და მიწები დაატოვებინეს, მიწის გამო დავები წარმოიშვა. აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, *ანგარიში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ - სომალი,* 2016 წლის 13 აპრილი, http://www.refworld.org/docid/5716120a8.html. იხ. აგრეთვე წჯსკ (ICRC), *ყოველწლიური ანგარიში 2014, 2015 წლის 9 ივნისი,* http://www.refworld.org/docid/558131ac2c.html. "სომალის მთელ რეგიონში -

4.კონფლიქტის შედეგად კვლავ მძიმე ზიანი ადგება სამოქალაქო მოსახლეობას. ვრცელდება ინფორმაცია, რომ კონფლიქტთან დაკავშირებული ძალადობის შედეგად იღუპებიან სამოქალაქო პირები, ადგილი აქვს მათ დასახიჩრებას, ფართოდ არის გავრცელებული სექსუალური და გენდერზე დაფუძნებული ძალადობა ქალთა და ბავშვთა მიმართ, ბავშვთა საბრძოლო საქმიანობაში იძულებითი ჩაბმა და ფართომაშტაბური იძულებითი გადაადგილება.[13] არსებული ინფორმაციის

განსაკუთრებით სამხრეთ და ცენტრალურ სომალიში - კონფლიქტი გამწვავდა ნაყოფიერ მიწებზე და წყალზე მისაწვდომობის გამო [...] ხელისუფლებიდან ალ-შაბაბის გაძევებამ მრავალ რეგიონში ხელისუფლების ვაკუუმი შექმნა, რომელსაც სათანადოდ ვერ ავსებს ვერც სომალის ფედერალური მთავრობა და ვერც დროებითი რეგიონული ადმინისტრაცია [...] 2012 წლიდან, გარდამავალი პერიოდის დასრულების შემდეგ, აქ საგრძნობლად გაიზარდა თემთაშორისი კონფლიქტი [...] 2015 წლის დასაწყისში, ჯუბას შუა ნაწილში, რომელიც თითქმის კვლავ ალ-შაბაბის ხელში იყო, ტომთაშორისი კონფლიქტი დაიწყო საძოვრებთან დაკავშირებით [...] მონიტორინგის ჯგუფი შეშფოთებულია იმის გამო, რომ რეგიონიდან ალ-შაბაბის გასვლის შემდეგ, ისტორიულად მარგინალიზებული თემები დაზარალდებიან უფრო ძლიერი შეიარაღების მქონე თემებისაგან, რომლებიც იბრძოლებენ ნაყოფიერი მიწების მოსაპოვებლად და კომერციული გამოყენებისთვის მდინარე ჯუბას დაბლობში". რიფტის ხეობის ინსტიტუტი (RVI) აღნიშნავს, რომ მიწასთან და საკუთრებასთან დაკავშირებით ხშირად ურთიერთსაწინააღმდეგო საჩივრები არსებობს: მკვიდრი მოსახლეობისაგან, რომლებსაც აქვთ ჩვეულებითი უფლებები, მაგრამ არა აქვთ საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი; პირებისაგან, რომლებმაც საკუთრების უფლება მოიპოვეს *სიად ბარეს* რეჟიმთან კავშირის შედეგად; და ისინი, ვინც ამ ქონებას დაეპატრონენ წინანდელი მესაკუთრეების განდევნის შემდეგ. RVI აცხადებს, რომ „სომალიში რესურსებისთვის ბრძოლა ამძაფრებს ვიწრო-ტომობრივ ერთგულებას და კიდევ უფრო განამტკიცებს ტომის განსაკუთრებულობის ცნებას [...]". RVI, *მასპინძლები და სტუმრები: სამხრეთ და ცენტრალურ სომალიში მიწასთან დაკავშირებული კონფლიქტების ისტორიული განმარტება,* 2015, ISBN 978-1-907431-34-0, http://www.refworld.org/docid/54f86b8f4.html, გვ. 5-8, 11, 18, 20, 32, 35. იხ. აგრეთვე სქოლიო 8.

[13] "მეომარი მხარეები, სამთავრობო ძალების, მოკავშირე შეიარაღებული ჯგუფების, ოპოზიციური შეიარაღებული ჯგუფების, სომალიში აფრიკული კავშირის მისიის (AMISOM) და სხვა უცხოური ძალების ჩათვლით, არღვევენ ომის კანონებს, რაც სამოქალაქო მოსახლეობის განსაკუთრებით დიდ მსხვერპლს იწვევს." HRW, *სომალი:* სამოქალაქო პირები სერიოზული რისკის წინაშე, 2016 წლის 27 იანვარი, http://www.refworld.org/docid/56b120a111.html. "უცხო და ეროვნული ძალების რაოდენობისა და მრავალფეროვნების ზრდასთან ერთად, სომალიში მყოფი უშიშროების ყველა ძალის მიმართ ყალიბდება მოსაზრება, რომ მათი სამიზნე სამოქალაქო პირები არიან, რომლებსაც ან განზრახ იყენებენ ომის ტაქტიკის სახით, ან პოლიტიკური და ეკონომიკური მიზნებისთვის, ან ისინი სამიზნე ხდებიან ძალის არაპროპორციული გამოყენების დროს. [...] შაბაბის სამხედრო თავდასხმების წინააღმდეგ ბრძოლის კონტექსტში, AMISOM-ი, სომალის ეროვნული არმია (SNA) და მისი პარტნიორები ხშირად აიძულებდნენ დაეტოვებინათ დაკავებული ტერიტორიები. შესაბამისად, ალ-შაბაბი, ძალადობრივ რეპრესიებს მიმართავდა სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ, რომელთა მიმართაც ჰქონდათ ვარაუდი, რომ ისინი ფარულად მხარს უჭერდნენ ძალაუფლების გადაცემას. UNSC, *სომალის მონიტორინგის ჯგუფის ანგარიში,* გვ. 37 (პარ. 123); იხ. აგრეთვე, იქვე, გვ. 8 და დანართი 6.1, გვ. 226-227 (პარ. 3-4). იხ. აგრეთვე, აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, 2015 წლის მოხსენება სომალიში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ, 2016 წლის 13 აპრილი, http://www.refworld.org/docid/5716120a8.html; UNSC, *გენერალური მდივნის მოხსენება სომალის შესახებ,* 2016 წლის 8 იანვარი, S/2016/27, http://www.refworld.org/docid/5698a0b64.html, პარ. 50, 64; OCHA, *2016 სომალის ჰუმანიტარულ საჭიროებათა მიმოხილვა,* 2015 წლის 25 ნოემბერი, https://www.humanitarianresponse.info/en/operations/somalia/document/2016-somalia-humanitarian-needs-overview, გვ. 5-11; UN გენერალური ასამბლეა, *ადამიანის უფლებათა საბჭოს მიერ მიღებული*

შესაბამისად, სომალიში სამთავრობო ძალები, აფრიკის კავშირის მისიის (AMISOM) ჯარები და ტომთა შეიარაღებული ჯგუფები უხეშად არღვევენ ადამიანის უფლებებს, მკვლელობის, გაუპატიურების, სექსუალური ძალადობის სხვა ფორმების და სექსუალური ექსპლუატაციის ჩათვლით.[14] გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, სამოქალაქო მოსახლეობას შორის მსხვერპლს იწვევს AMISOM-ის მიერ ძალის განურჩეველი გამოყენება, მათ შორის, საკონტროლო პუნქტებზე, მათ პერსონალსა და ესკორტზე თავდასხმებზე რეაგირებისას და საჰაერო ბრძოლების დროს.[15] სამოქალაქო მოსახლეობის უსაფრთხოებასა და დაცვას დამატებით რისკებს

რეზოლუცია, 2015 წლის 2 ოქტომბერი, 2015 წლის 13 ოქტომბერი, http://www.securitycouncilreport.org/atf/cf/%7B65BFCF9B-6D27-4E9C-8CD3-CF6E4FF96FF9%7D/a_hrc_res_30_20.pdf, პარ. 5; Somalia Humanitarian Country Team, *Contingency Plan Somalia, 2015-16 ელ ნინო,* 2015 წლის სექტემბერი, http://reliefweb.int/report/somalia/somalia-2015-16-el-ni-o-contingency-plan-september-2015, გვ. 3

[14] აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, 2015 წლის მოხსენება სომალიში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ, 2016 წლის 13 აპრილი, http://www.refworld.org/docid/5716120a8.html; HRW, *World Report 2016 - სომალი,* 2016 წლის 27 იანვარი, http://www.refworld.org/docid/56bd991f3f.html; გაეროს ახალი ამბების ცენტრი, *სომალი: გაეროს მაღალი თანამდებობის პირი მოუწოდებს გლობალური მხარდაჭერისკენ ადამიანის უფლებათა გაუმჯობესების მიზნით,* 2015 წლის 17 ნოემბერი, http://www.un.org/apps/news/story.asp?NewsID=52575. 2015 წლის 15 ნოემბერს, დაახლოებით 11 ადამიანი მოკლეს, რომლებიც საკვების რიგში იდგნენ მოგადიშუს იგპ-თა ბანაკში, მას შემდეგ რაც მტრულად განწყობილმა სომალის უშიშროების ძალებმა ცეცხლი გახსნეს. BBC News, *სომალელი ლტლვილები დაიღუპნენ მოგადიშუში ძალების შეტაკების შედეგად,* 2015 წლის 16 ნოემბერი, http://www.bbc.com/news/world-africa-34833538. არსებული ინფორმაციის თანახმად, სომალიში სამოქალაქო პირთა მიმართ სექსუალური ძალადობა ჯერ არ შესუსტებულა. "მოძალადეთა უმრავლესობა, როგორც ამბობენ, უცნობი შეიარაღებული პირები არიან. ზოგიერთ ანგარიშში ასევე მიუთითებენ სომალის ეროვნული არმიის და საპოლიციო ძალების, ალ-შაბაბის და AMISOM-ის ზოგიერთი კონტინგენტის შესახებ". UNSC, *გენერალური მდივნის მოხსენება სომალის შესახებ,* 2015 წლის 12 მაისი, S/2015/331, http://www.refworld.org/docid/556581e64.html, პარ. 62. იხ. აგრეთვე UNSC, *ბავშვები და შეიარაღებული კონფლიქტი: გენერალური მდივნის მოხსენება,* 2015 წლის 5 ივნისი, A/69/926–S/2015/409, http://www.refworld.org/docid/557abf904.html, პარ. 145-159; OHCHR, *დამოუკიდებელ ექსპერტთა მოხსენება,* პარ. 40-42. "ტომთაშორისი კონფლიქტი კიდევ ერთხელ გახდა გაუპატიურების გამომწვევი მიზეზი, რასაც იყენებენ დასჯისთვის და დომინირების დასამკვიდრებლად." UNSC, *მონიტორინგის ჯგუფის მოხსენება სომალის შესახებ,* დანართი 6.4, გვ. 244 (პარa. 49); იხ. აგრეთვე, იქვე, გვ. 38 (პარ. 127). მოხსენება ორგანიზაციისა „ჟურნალისტები სამართლიანობისთვის", დოკუმენტური მტკიცებულება საჰაერო თავდასხმების შესახებ, როდესაც მიზანში იღებდნენ სამოქალაქო სოფლებს, ცხოველთა ჯოგს და ჭებს კენიის თავდაცვის ძალები (KDF), ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართლისა და ჰუმანიტარული სამართლის დარღვევით. ჟურნალისტები სამართლიანობისთვის, შავი და თეთრი: კენიის დანაშაულებრივი რეკეტი სომალიში, 2015 წლის ნოემბერი, http://www.jfjustice.net/userfiles/file/Research/Black%20and%20White%20Kenya's%20Criminal%20Racket%20in%20Somalia.pdf, გვ. 3 7-12. პრეზიდენტმა ჰასან შეიხ მოჰამადმა გააკრიტიკა KDF-ი გედოს რეგიონში სამოქალაქო მსხვერპლის გამოწვევის გამო. Africa Confidential, *Amisom Struggles: A Funding Gap and a String of Defeats Head a Long List of Problems for the African Alliance Fighting Islamist Militants*, 2016 წლის 4 მარტი, http://www.africa-confidential.com/article/id/11547/Amisom_struggles.

[15] HRW, *World Report 2016 - სომალი, 2016 წლის 27 იანვარი,* http://www.refworld.org/docid/56bd991f3f.html. იხ. აგრეთვე, აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, 2015 წლის

უქმნის ფედერალურ შტატებს შორის საზღვრების დემარკაციასთან დაკავშირებული შეიარაღებული შეტაკებები, ასევე, დაპირისპირების ინციდენტები ფედერალური მთავრობის მომხრე ძალებსა და აჰლ ალ-სუნა უალ-ჯამაას შორის.[16]

5. ანგარიშები აჩვენებს, რომ პოლიციასა და უშიშროების ძალებს საკმარისი შესაძლებლობები არა აქვთ.[17] სამოქალაქო ხელისუფლება უშიშროების ძალებზე ეფექტურ კონტროლს ვერ ახორციელებს.[18] არსებული ინფორმაციის შესაბამისად, პოლიციის ოფიცრები და სამხედრო მოსამსახურეები უხეშად არღვევენ ადამიანის უფლებებს, მკვლელობის, გაუპატიურების და სამოქალაქო პირთაგან ფულის გამოძალვის ჩათვლით.[19] მოგადიშუში და მის შემოგარენში, სამთავრობო ძალების წევრები, მოკავშირე შეიარაღებული ჯგუფები, AMISOM-ის ჯარები და ინდივიდუალური პირები, რომლებსაც „ფორმიან კაცებს“ ეძახიან, სამოქალაქო პირთა მიმართ ჩადიან ძალადობრივ აქტებს, გაუპატიურების ჩათვლით (იხ. ზემოთ, პარ. 5).[20] როგორც მოხსენებებიდან ჩანს, პოლიციას და უშიშროების ძალებს

მოხსენება სომალიში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ, 2016 წლის 13 აპრილი, http://www.refworld.org/docid/5716120a8.html; EASO, *COI მოხსენება:უსაფრთხოების მდგომარეობა სომალიში,* გვ. 38 (პარ. 127), და დანართი 6.1, 230-231 (პარ. 15, 17)

[16] აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, 2015 წლის მოხსენება სომალიში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ, 2016 წლის 13 აპრილი, http://www.refworld.org/docid/5716120a8.html; EASO, *COI მოხსენება: მოხსენება:უსაფრთხოების მდგომარეობა სომალიში,* გვ. 22; HRW, *World Report 2016 - Somalia, 2016 წლის 27 იანვარი*, http://www.refworld.org/docid/56bd991f3f.html; HRW, *სომალი: სამოქალაქო მოსახლეობა სერიოზული რისკის ქვეშ,* 2016 წლის 27 იანვარი, http://www.refworld.org/docid/56b120a111.html; UNSC, *გენერალური მდივნის მოხსენება სომალის შესახებ,* 2016 წლის 8 იანვარი, S/2016/27, http://www.refworld.org/docid/5698a0b64.html, პარ. 6; UNSC, *გენერალური მდივნის მოხსენება სომალის შესახებ,* 2015 წლის 12 მაისი, S/2015/331, http://www.refworld.org/docid/556581e64.html, პარ.15

[17] "იმ ქალაქებში, საიდანაც ალ-შაბაბი განდევნეს, კანონიერება და წესრიგი გაუარესდა. SFG-სთან ასოცირებულ პოლიციას და სხვა ძალებს მოქმედებისთვის საჭირო შესაძლებლობები და ერთიანობა არა აქვთ." ლიფოსი (შვედეთის მიგრანტთა საბჭო), *უსაფრთხოების სიტუაცია სამხრეთ და ცენტრალურ სომალიში, 2015 წლის 29 აპრილი* (შვედურ ენაზე, დასკვნა ინგლისურ ენაზე); http://Lifos.migrationsverket.se/dokument?documentSummaryId=34553 (შემდგომში: ლიფოსი, *უსაფრთხოების სიტუაცია სომალიში*). "პოლიცია ზოგადად არაეფექტური იყო." აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, 2015 წლის მოხსენება სომალიში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ, 2016 წლის 13 აპრილი, http://www.refworld.org/docid/5716120a8.html.

[18] აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, 2015 წლის მოხსენება სომალიში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ, 2016 წლის 13 აპრილი, http://www.refworld.org/docid/5716120a8.html. "მონიტორინგის ჯგუფმა ასევე მიიღო განცხადებები რეგიონული უშიშროების ძალების წინააღმდეგ, რომლებიც FGS-ის კონტროლს არ ექვემდებარებიან. ამ თვალსაზრისით, ძალის არამართლზომიერ გამოყენებაში ადანაშაულებდნენ ჯუბას დროებითი ადმინისტრაციის ძალებს (IJA), მათ შორის ყველაზე ხშირად მიუთითებდნენ უკანონო მკვლელობებზე, დაპატიმრებასა და წამებაზე." UNSC, *სომალის მონიტორინგის ჯგუფის მოხსენება, დანართი* 6.1, 229 (პარ. 12)

[19] იხ. სქოლიო 23

[20] აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, 2015 წლის მოხსენება სომალიში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ, 2016 წლის 13 აპრილი, http://www.refworld.org/docid/5716120a8.html; იხ. აგრეთვე, სქოლიო 23.

შეუძლიათ ჩაიდინონ დარღვევები, რასაც ხელს უწყობს დაუსჯელობის ატმოსფერო. სამართალდამცავი ორგანოების შესახებ ასევე ვრცელდება ინფორმაცია, რომ ისინი ვერ ახდენენ ძალადობის ინციდენტების პრევენციას, მათზე რეაგირებას ან გამოძიებას.[21] როგორც ჩანს, ქვეყანაში სამოქალაქო სასამართლო სისტემა ძირითადად არ ფუნქციონირებს.[22] 2015 წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა ზოგადი დანაშაულის დონე.[23]

6.გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ალ-შაბაბი,[24] რომელიც სომალის ეროვნული შეიარაღებული ძალების (SNAF) და სომალიში აფრიკის კავშირის მისიის (AMISOM)[25] წინააღმდეგ იბრძვის, კვლავ მთავარ საფრთხეს უქმნის მშვიდობასა და უსაფრთხოებას. SNAF-ის, AMISOM-ისა და მოკავშირეთა (განსაკუთრებით კენიისა და ეთიოპიის) მიერ წარმოებული სამხედრო ოპერაციების საპასუხოდ, ალ-შაბაბმა „მეტი ქმედითობითა და ხოცვა-ჟლეტით“[26] გააძლიერა ასიმეტრიულ ომში მისი

---

[21] "სამთავრობო ორგანოებმა მინიმალური ნაბიჯები გადადგეს იმ თანამდებობის პირთა გასამათლებისა და დასჯისთვის, ვინც ძალადობა ჩაიდინა, განსაკუთრებით, სამხედრო და პოლიციის ოფიცერთა მიმართ, რომლებსაც ბრალი ედებოდათ გაუპატიურებაში, მკვლელობაში, ტომებს შორის ომის გაჩაღებაში და სამოქალაქო პირებისაგან ფულის გამოძალვაში." აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, 2015 წლის მოხსენება სომალიში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ, 2016 წლის 13 აპრილი, http://www.refworld.org/docid/5716120a8.html. იხ. აგრეთვე, OHCHR, *გაეროს ადამიანის უფლებათა ექსპერტი სთხოვს სომალის განამტკიცოს ადამიანის უფლებათა დაცვა სახელმწიფოს მშენებლობის დროს, 2015 წლის 1 ივნისი,* http://www.ohchr.org/EN/NewsEvents/Pages/DisplayNews.aspx?NewsID=16028&LangID=E

[22] აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, 2015 წლის მოხსენება სომალიში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ, 2016 წლის 13 აპრილი, http://www.refworld.org/docid/5716120a8.html

[23] ლიფოსი, უსაფრთხოების სიტუაცია სომალიში.

[24] OHCHR, *დამოუკიდებელ ექსპერტთა მოხსენება, გვ. 1, პარ. 13;* UNSC, *გენერალური მდივნის მოხსენება სომალის შესახებ,* 2015 წლის 12 მაისი, S/2015/331, http://www.refworld.org/docid/556581e64.html, პარ. 9, 11-12; NRC/IDMC, *სომალი:* მილიონზე მეტ იგპ-ს სჭირდება მხარდაჭერა ადგილობრივი გადაწყვეტისთვის, 2015 წლის 18 მარტი, http://www.refworld.org/docid/550fcb244.html, გვ. 3; ლიფოსი, უსაფრთხოების სიტუაცია სომალიში; აფრიკის კავშირი, მშვიდობის და უსაფრთხოების საბჭო, *521-ე შეხვედრა, კომუნიკე, 2015 წლის 30 ივნისი,* http://www.peaceau.org/en/article/communique-of-the-521st-meeting-peace-and-security-council-on-the-joint-au-un-mission-in-somalia, para. 4

[25] UNSC, *გენერალური მდივნის მოხსენება სომალის შესახებ,* 2016 წლის 8 იანვარი, S/2016/27, http://www.refworld.org/docid/5698a0b64.html, პარ. 12; ნიუ-იორკ თაიმსი, სომალი: ჯარისკაცები დაიხოცნენ აჯანყებულებთან შეტაკებისას, 2015 წლის 3 ნოემბერი, http://www.nytimes.com/2015/11/04/world/africa/somalia-soldiers-killed-in-rebel-attack.html; ალ ჯაზირა, *Al-Shabab Claims 'Scores' Killed in Attack on AU Troops*, 2015 წლის 1 სექტემბერი, http://www.aljazeera.com/news/2015/09/al-shabab-claims-scores-killed-attack-au-troops-150901041528125.html; ალ-ჯაზირა, სომალის ალ-შაბაბი თავს დაესხა სამხედრო ბაზას მოგადიშუში, 2015 წლის 21 ივნისი, http://www.aljazeera.com/news/2015/06/al-shabab-kills-raid-mogadishu-army-base-150621051813728.html

[26] აფრიკის კავშირი, მშვიდობის და უსაფრთხოების საბჭო, *544-ე შეხვედრა, კომისიის თავმჯდომარის მოხსენება კომუნიკეს სათანადო დებულებების შედეგების შესახებ PSC/PR/COMM. (DXXI) სომალიში სიტუაციის შესახებ, 2015 წლის 18 სექტემბერი,* http://www.peaceau.org/uploads/psc-rpt-somalia-18-09-2015-9p.pdf, პარ.14

მონაწილეობის შესაძლებლობები, რაც არათანაზომიერ ზემოქმედებას ახდენს სამოქალაქო მოსახლეობაზე.[27] 2014-2015 წლებში რამდენიმე მასიური თავდასხმა მოხდა მოგადიშუს სამოქალაქო მოსახლეობაზე და სამოქალაქო ინფრასტრუქტურაზე, სასტუმროების, სამთავრობო შენობების (მათ შორისაა 'ვილა სომალი', სადაც პრეზიდენტის ოფისია განლაგებული), მოგადიშუს საავადმყოფოსა და საერთაშორისო აეროპორტის ჩათვლით.[28] 2015 წელს მოგადიშუში საგრძნობლად

---

[27] Human Rights Watch (HRW), *World Report 2016 - სომალი, 2016 წლის 27 იანვარი,* http://www.refworld.org/docid/56bd991f3f.html; OHCHR, *დამოუკიდებელ ექსპერტთა მოხსენება,* პარ. 14-15, 18; UNSC, *გენერალური მდივნის მოხსენება სომალის შესახებ, 2015 წლის 12 მაისი,* S/2015/331, http://www.refworld.org/docid/556581e64.html, პარ. 83. "ალ-შაბაბი ინარჩუნებს უნარს მოერგოს შეცვლილ გარემოებებს და შეისწავლოს უსაფრთხოებისა და მმართველობის სფეროში არსებული სუსტი მხარეები. ალიანსის იმ დაბებსა და სოფლებში შესვლის ფონზე, რომლებიც მას უკავია, ჯგუფს შეუძლია გაიტანოს და დაბლოკოს პირველადი მოხმარების საქონელი და მისი მიწოდება, რათა მათზე წვდომა არ ჰქონდეს „განთავისუფლებულ" მოსახლეობას, და კვლავ დაპირისპირების დაწყებამდე უბრალოდ შეუძლია ელოდოს, როდის შესუსტდება უსაფრთხოების სიტუაცია ან როდის მოხდება დემორალიზაცია." UNSC, *სომალის მონიტორინგის ჯგუფის მოხსენება,* გვ. 7; იხ. აგრეთვე, იქვე, გვ.37 (პარ. 125)

[28] "ალ-შაბაბმა განახორციელა მიზნობრივი თავდასხმები სამოქალაქო პირებსა და სამოქალაქო ინფრასტრუქტურაზე, დედაქალაქში, მოგადიშუში, და სხვა ქალაქებში, რომლებიც მთავრობის ან მოკავშირეთა ხელშია, და გააძლიერა ინტენსიური თავდასხმები AMISOM-ის ობიექტებზე. [...] ალ-შაბაბი რეგულარად ესხმის თავს სამოქალაქო მოსახლეობას და სამოქალაქო სტრუქტურას, განსაკუთრებით, მოგადიშუში, რაც დიდ მსხვერპლს იწვევს." HRW, *World Report 2016 - სომალი,* 2016 წლის 27 იანვარი, http://www.refworld.org/docid/56bd991f3f.html. იხ. აგრეთვე, UNSC, გაეროს გენერალური მდივნის მოხსენება სომალის შესახებ, 2016 წლის 8 იანვარი, S/2016/27, http://www.refworld.org/docid/5698a0b64.html, პარ. 12-14. „ვინაიდან გააქტიურდა როგორც ალ-შაბაბის წინააღმდეგ ბრძოლა, ისე ამ ჯგუფის მიერ მის კონტროლს დაქვემდებარებული მოსახლეობის შევიწროება, იმატა სამოქალაქო პირთა მიმართ დარღვევებმა, რადგან ორივე მხარე იყენებს იარაღს და ტაქტიკურ სვლებს, ეს იწვევს დიდ მსხვერპლს როგორც სამოქალაქოთა, ისე სამხედროებს შორის. [...] ურბანულ ტერიტორიებზე სამოქალაქო მოსახლეობა თვითმკვლელი ტერორისტების თავდასხმების სამიზნე ხდება, განსაკუთრებით, სასტუმროებსა და სახელმწიფო დაწესებულებებში, რაც საგულისხმო მსხვერპლს იწვევს." UNSC, *სომალის მონიტორინგის ჯგუფის მოხსენება, გვ. 37 (პარ. 125);* იხ. აგრეთვე, იქვე, გვ. 27 (პარ. 82), და დანართი 6.1, გვ. 226 (პარ. 3). დამატებითი დეტალები იხ., მაგალითად, როიტერი, *ათობით ადამიანი დაიღუპა ალ-შაბაბის ისლამისტთა მიერ სომალის ქალაქის დაბომბვის შედეგად,* 2016 წლის 29 თებერვალი, http://www.theguardian.com/world/2016/feb/29/dozens-dead-after-al-shabaab-islamists-bomb-town-in-somalia; როიტერი, *ისლამისტებმა მოკლეს სომალის ყოფილი თავდაცვის მინისტრი დანაღმული მანქანის აფეთქების მეშვეობით,* 2016 წლის 15 თებერვალი, http://af.reuters.com/article/topNews/idAFKCN0VO1M2; გაეროს ახალი ამბების სამსახური, სომალი: გაერო გმობს ალ-შაბაბის სასტიკ თავდასხმას სამოქალაქო მოსახლეობაზე მოგადიშუში, 2016 წლის 22 იანვარი, http://www.refworld.org/docid/56a5d2c340d.html; ალ-ჯაზირა, ალ-შაბაბი თავს დაესხა აფრიკის კავშირის ბაზას სომალიში, 2016 წლის 15 იანვარი, http://www.aljazeera.com/news/2016/01/al-shabab-attacks-african-union-base-somalia-160115070814884.html; BBC, *სომალის ძალებმა ალყა მოხსნეს რესტორანზე, მას შემდეგ რაც იქ თავდასხმის შემდეგ ხალხი დაიღუპა,* 2016 წლის 22 იანვარი, http://www.bbc.com/news/world-africa-35377484; ნიუ-იორკ თაიმსი, *შეიარაღებულმა პირებმა დაბომბეს პოპულარული სასტუმრო სომალიში,* 2015 წლის 1 ნოემბერი, http://www.nytimes.com/2015/11/02/world/africa/ -2015-11-02-world-africa-sahafi-shabab-militants-attack-hotel-somalia.html; OHCHR, დამოუკიდებელ ექსპერტთა მოხსენება, პარ. 14-15, 18; აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, მოხსენებები ტერორიზმის შესახებ ქვეყნების მიხედვით, 2014 - უცხოური ტერორისტული ორგანიზაციები: ალ-

იმატა თავდასხმებმა ჰუმანიტარული დახმარების მუშაკებზე. დაფიქსირებულია 120 ძალადობრივი ინციდენტი. 2014 წელს ეს მაჩვენებლი იყო 75.[29] გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ალ-შაბაბს ადანაშაულებენ ადამიანის უფლებათა მძიმე დარღვევებში, სასამართლოს გარეშე სიკვდილით დასჯის, გაუპატიურების და სექსუალური ძალადობის სხვა ფორმების, ბავშვთა იძულებითი რეკრუტის, ალ-შაბაბის წევრებზე იძულებითი ქორწინების, სამოქალაქო თავისუფლებათა და გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვის და არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ჰუმანიტარული დახმარების შეზღუდვის ჩათვლით.[30]

შაბაბი, 2015 წლის 19 ივნისი, http://www.refworld.org/docid/5587c7305f.html; როიტერი, *სომალის შაბაბმა საარტილერიო ცეცხლი გაუხსნა პეზიდენტის სასახლეს,* 2015 წლის 26 თებერვალი, http://www.reuters.com/article/2015/02/26/us-somalia-security-idUSKBN0LU19G20150226. იხ. აგრეთვე, საერთაშორისო კრიზისის ჯგუფი, *Crisis Watch Database*, http://www.crisisgroup.org/en/publication-type/crisiswatch/crisiswatch-database.aspx.

[29] UNSC, *გენერალური მდივნის მოხსენება სომალის შესახებ,* 2016 წლის 8 იანვარი, S/2016/27, http://www.refworld.org/docid/5698a0b64.html, პარ. 71. არსებული ინფორმაციის თანახმად, 2014 წელს, მოგადიშუში ჰუმანიტარული დახმარების მუშაკებზე თავდასხმა 53 პროცენტით გაიზარდა 2013 წელთან შედარებით. იხ. მაგალითად, *გაეროს გენერალური ასამბლეა, ლტოლვილთა, დაბრუნებულთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარება აფრიკაში: გენერალური მდივნის მოხსენება,* 2015 წლის 20 აგვისტო, A/70/337, http://www.refworld.org/docid/560149a34.html, პარ. 44;
USAID, სომალი - რთული საგანგებო მდგომარეობა, 2015 წლის 19 თებერვალი, http://www.ecoi.net/file_upload/1788_1425133834_somalia-ce-fs02-02-19-2015.pdf; OCHA, *Somalia Humanitarian Key Messages,* 2015 წლის ივლისი, http://reliefweb.int/sites/reliefweb.int/files/resources/150701_Somalia_Key_Humanitarian_Messages.pdf. იხ. აგრეთვე, UNSC, *სომალის მონიტორინგის ჯგუფის მოხსენება,* გვ. 34 (პარ. 110) და გვ. 35 (პარ. 115).

[30] "სანდო მოხსენებები მიუთითებს, რომ ალ-შაბაბი თვითნებურად ახორციელებს მართლმსაჯულებას და მწვავედ ზღუდავს ძირითად უფლებებს მის კონტროლს დაქვემდებარებულ ტერიტორიებზე, და კვლავ აგრძელებს ბავშვთა იძულებით რეკრუტს. ალ-შაბაბი ჩადის მიზნობრივ მკვლელობებს, თავის მოკვეთით სჯის ადამიანებს, ახდენს სიკვდილით დასჯას, განსაკუთრებით იმ ადამიანების, რომლებსაც ჯაშუშობაში ედებათ ბრალი. 7 თებერვალს [2015], ალ-შაბაბმა საჯაროდ სიკვდილით დასაჯა ორი ქალი, რომლებსაც ბრალად ედებოდათ NISA [ეროვნული დაზვრვისა და უშიშროების სააგენტო]-სთვის მუშაობა ჯილიბში, შუა ჯუბას რეგიონში." HRW, *World Report 2016 - სომალი,*2016 წლის 27 იანვარი, http://www.refworld.org/docid/56bd991f3f.html. "ალ-შაბაბმა განსაკუთრებით სასტიკი დანაშაული ჩაიდინა სამოქალაქო მოსახლეობის მიმართ, განსაკუთრებით ბავშვთა იძულებითი რეკრუტის სახით [...] ალ-შაბაბი ძალადობრივი მეთოდებით სჯიდა და სასტიკად ზღუდავდა სამოქალაქო მოსახლეობას, რომელიც ჯერ კიდევ ცხოვრობდა მის მიერ კონტროლირებულ ტერიტორიაზე. გასამართლების გარეშე სიკვდილით დასჯა, წამება, დაპატიმრება - გამოძალვის ან დასჯის მიზნით - და სიცოცხლისთვის აუცილებელ დახმარებაზე უარის თქმა, ამ და სხვა ტაქტიკას მიმართავს იგი, რათა ხელში ეჭიროს მოსახლეობა და შეაგროვოს რესურსები სამხედრო კამპანიის გააქტიურების მიზნით." UNSC, *სომალის მონიტორინგის ჯგუფის მოხსენება,* გვ. 8. და დანართი 6.1, გვ. 227 (პარ. 5). იხ. აგრეთვე, აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, 2015 წლის მოხსენება სომალიში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ, 2016 წლის 13 აპრილი, http://www.refworld.org/docid/5716120a8.html; აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, *მოხსენება ქვეყნებში ტერორიზმის შესახებ, 2014 - სომალი, 2015 წლის 19 ივნისი,* http://www.refworld.org/docid/5587c73f15.html; UNSC, *ბავშვები და შეიარაღებული კონფლიქტი: გენერალური მდივნის მოხსენება,* 2015 წლის 5 ივნისი, A/69/926–S/2015/409, http://www.refworld.org/docid/557abf904.html, პარ. 145-159; UNSC, გენერალური მდივნის მოხსენება სომალის შესახებ, 2015 წლის 12 მაისი, S/2015/331, http://www.refworld.org/docid/556581e64.html, პარ.11-12; ლიფოსი, *უსაფრთხოების სიტუაცია სომალიში.*

7.არსებული ინფორმაციის შესაბამისად, ალ-შაბაბის მიმართ მოსახლეობის საერთო მხარდაჭერა შემცირდა.[31] ალ-შაბაბი ძირითადად ფოკუსირებულია აღკვეთოს ჯაშუშობა, რომელსაც, მისი აზრით, ახორციელებს სომალის ფედერალური მთავრობა (FGS) ან მისი მოკავშირეები; ასეთ ქმედებებში ჩართულ სამოქალაქო პირებს კლავენ.[32] უფრო ზოგადად, ეს დანაყოფი კვლავ მონაწილეობს სამოქალაქო პირთა გამიზნულ მკვლელობებში, რომლებსაც იგი მტრად მიიჩნევს, სამთავრობო და უშიშროების მუშაკთა, რეგიონული ადმინისტრაციების თანამშრომელთა, სამთავრობო ძალების მხარდამჭერთა, ჰუმანიტარული დახმარების მუშაკთა, არასამთავრობო ორგანიზაციების თანამშრომელთა, გაეროს და დიპლომატიური მისიების თანამშრომელთა, მშვიდობის დაცვის ცნობილ აქტივისტთა, თემების ლიდერთა, ტომების უხუცესთა და მათი ოჯახის წევრთა ჩათვლით. ისინი, ასევე, სასტიკად უსწორდებიან პირებს, რომლებიც მათ საწინააღმდეგო მოსაზრებებს გამოხატავენ, კერძოდ, ჟურნალისტებს, პოლიტიკოსებს, პედაგოგებს, რელიგიურ და ადგილობრივ ლიდერებს და ბიზნესმენებს.[33] ანგარიშების შესაბამისად, ალ-შაბაბი

---

[31] UNSC, *გენერალური მდივნის მოხსენება სომალის შესახებ,* 2016 წლის 8 იანვარი, S/2016/27, http://www.refworld.org/docid/5698a0b64.html, პარ. 104; ლიფოსი, უსაფრთხოების სიტუაცია სომალიში; დანიის იმიგრაციის სამსახური, *სამხრეთი და ცენტრალური სომალი: ინფორმაცია წარმოშობის ქვეყნის შესახებ თავშესაფრის პროცესის განსაზღვრის დროს გამოყენებისთვის,* 2015 წლის 2 ოქტომბერი, http://www.refworld.org/docid/560e863d4.html (შემდგომში: DIS, *უსაფრთხოების და ადამიანის უფლებათა საკითხები ს/ჩ სომალიში),* გვ. 51. თუმცა, სომალისა და ერითრეას მონიტორინგის ჯგუფი მიუთითებს, რომ „აღორძინების გზაზე მდგარი ალ-შაბაბი სულ უფრო მეტად უჩვენებს, რომ შეუძლია ისარგებლოს მისი ოპონენტების კრახით და მოახდინოს კონტროლის კონსოლიდაცია, შექმნას ადგილობრივი ადმინისტრაციები, უზრუნველყოს უსაფრთხოება და მოიპოვოს საზოგადოების ნდობა.“ UNSC, *სომალის მონიტორინგის ჯგუფის მოხსენება, გვ. 6.*

[32] არსებული ინფორმაციის თანახმად, სასამართლო პროცესის გარეშე დასჯა ხშირად ხდება საჯაროდ და რამდენიმე საათის განმავლობაში მას შემდეგ, რაც ალ-შაბაბის სასამართლო დამნაშავედ აღიარებს და სასჯელს გამოიტანს პირის მიმართ. OHCHR, *დამოუკიდებელ ექსპერტთა მოხსენება,* პარ. 15. იხ. აგრეთვე, აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, 2015 წლის მოხსენება სომალიში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ, 2016 წლის 13 აპრილი, http://www.refworld.org/docid/5716120a8.html; HRW, *World Report 2016 - სომალი,* 2016 წლის 27 იანვარი, http://www.refworld.org/docid/56bd991f3f.html; UNSC, *სომალის მონიტორინგის ჯგუფის მოხსენება,* დანართი 6.1, გვ. 227 (პარ. 5)

[33] “ალ-შაბაბმა, რომელიც კვლავ აკონტროლებდა ქვეყნის მნიშვნელოვან ნაწილს, თავდასხმები მოაწყო სამოქალაქო მოსახლეობაზე და სამოქალაქო ინფრასტრუქტურაზე, რასაც მოჰყვა დიდი რაოდენობით მკვლელობა და სიკვდილით დასჯა.“ HRW, *სომალი: სამოქალაქო მსოახლეობა სერიოზული რისკის წინაშე დგას,* 2016 წლის 27 იანვარი, http://www.refworld.org/docid/56b120a111.html. იხ. აგრეთვე, აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, 2015 წლის მოხსენება სომალიში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ, 2016 წლის 13 აპრილი, http://www.refworld.org/docid/5716120a8.html; HRW, *World Report 2016 - სომალი, 2016 წლის 27 იანვარი*, http://www.refworld.org/docid/56bd991f3f.html; UNSC*, სომალის მონიტორინგის ჯგუფის მოსენება,* გვ.35 (პარ. 115); ალ-ჯაზირა, *ალ შაბაბი თავს ესხმის სომალის მაღალი თანამდებობის პირებს,* 2015 წლის 1 ნოემბერი, http://www.aljazeera.com/news/2015/11/attackers-storm-somali-hotel-car-bomb-explosion-151101034215244.html; აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, *მოხსენება ქვეყნებში ტერორიზმის შესახებ, 2014 - სომალი, 2015 წლის 19 ივნისი,* http://www.refworld.org/docid/5587c73f15.html; UNSC, *გენერალური მდივნის მოხსენება სომალის შესახებ,* 2015 წლის 12 მაისი, S/2015/331, http://www.refworld.org/docid/556581e64.html, პარ. 9-12; ლიფოსი, *უსაფრთხოების მდგომარეობა სომალიში.*

ახდენს ძირითადი მარშრუტებისა და მისასვლელი გზების ბლოკირებას ზოგიერთ ადგილებამდე, რომლებიც SNAF-მა და AMISOM-მა დაიბრუნეს.[34] ისინი თავისუფალ გადაადგილებას უშლიან სამოქალაქო პირებს და აბრკოლებენ ვაჭრობას, რაც უარყოფითად მოქმედებს ჰუმანიტარულ პირობებზე. 2015 წლის ივლისში გაერომ მიიჩნია, რომ ალ-შაბაბისაგან მომდინარე საფრთხე ძალზე დიდი იყო სომალიში სამშვიდობო მისიის გაგზავნისთვის.[35]

8. მიუხედავად იმისა, რომ, გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ალ-შაბაბმა ცენტრალური და სამხრეთი სომალის რეგიონების მრავალ ქალაქსა და დაბაზე კონტროლი დაკარგა, იგი კვლავ ფლობს უფრო მცირე დაბებსა და სოფლებს,[36] რითაც ხელს უშლის FGS-ის და სხვა აქტორების საერთო წვდომას მთავრობის კონტროლის ქვეშ მყოფ ზოგიერთ ურბანულ ცენტრებზე.[37] გარდა ამისა, თვით იმ ქალაქებშიც, რომლებიც SNAF-მა და AMISOM-მა დაიბრუნეს, ალ-შაბაბს ურბანულ პერიფერიებსა და ამ ქალაქების ზოგიერთ უბნებში კვლავ მნიშვნელოვანი ძალები ჰყავს.[38]

---

[34] აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, 2015 წლის მოხსენება სომალიში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ, 2016 წლის 13 აპრილი, , http://www.refworld.org/docid/5716120a8.html; UNSC, *გენერალური მდივნის მოხსენება სომალის შესახებ,* 2016 წლის 8 იანვარი, S/2016/27, http://www.refworld.org/docid/5698a0b64.html, პარ. 14; UNSC, *მონიტორინგის ჯგუფის მოხსენება სომალის შესახებ*, გვ. 28 (პარ. 87), გვ. 34 (პარ. 109), და დანართი 5.1, გვ. 206 (პარ. 3); UNSC, *გენერალური მდივნის მოხსენება სომალის შესახებ,* 2015 წლის 12 მაისი, S/2015/331, http://www.refworld.org/docid/556581e64.html, პარ. 67; OHCHR, *დამოუკიდებელ ექსპერტთა მოხსენება,* პარ.16

[35] გაეროს ახალი ამბების სამსახური, *სომალიში გაეროს სრულმასშტაბიანი სამშვიდობო მისია 'მაღალი რისკის მქონე ღონისძიება' იქნება,* 2015 წლის 16 ივლისი, http://www.refworld.org/docid/55acd0d14.html

[36] აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, 2015 წლის მოხსენება სომალიში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ, 2016 წლის 13 აპრილი, http://www.refworld.org/docid/5716120a8.html; DIS, *უსაფრთხოების და ადამიანის უფლებათა საკითხები ს/ჩ სომალიში,* გვ. 9, 16; ლიფოსი, *უსაფრთხოების მდგომარეობა სომალიში;* OHCHR, *დამოუკიდებელ ექსპერტთა მოხსენება,* პარ. 16.

[37] EASO, *COI მოხსენება: უსაფრთხოების სიტუაცია სომალიში,* გვ. 32-33, 56, 60. მიუხედავად იმისა, რომ ალ-შაბაბმა დაკარგა კონტროლი ზოგიერ ძირითად დაბაზე, იგი კვლავ ინარჩუნებს კონტროლს საკმაოდ დიდ ტერიტორიაზე, და მრავალ საკვანძო სატრანსპორტო მარშრუტზე." HRW, *World Report 2016 - სომალი, 2016 წლის 27 იანვარი,* http://www.refworld.org/docid/56bd991f3f.html. იხ. აგრეთვე, ლიფოსი, *უსაფრთხოების მდგომარეობა სომალიში;* წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი (წჯსკ), *ყოველწლიური მოხსენება 2014 - სომალი,* 2015 წლის 9 ივნისი, http://www.refworld.org/docid/558131ac2c.html. UNHCR-ი, სომალიმ აღნიშნა, რომ „ზოგიერთი ქალაქი, სადაც AMISOM/SNAF-ი იმყოფებიან, შეიძლება შევადაროთ კუნძულებს ალ-შაბაბის ტერიტორიაზე", მაშინ როცა სხვა წყაროები დასძენენ, რომ ცენტრალური ნაწილის ქალაქებისა და გარშემო დაბების დიდ ნაწილში ფარულად იმყოფება ალ-შაბაბი. DIS, *უსაფრთხოების და ადამიანის უფლებათა საკითხები ს/ჩ სომალიში,* გვ. 9-10. "მონიტორინგის ჯგუფი შეშფოთებით აღნიშნავს, რომ ხელახლა დაკავებული ტერიტორიები იზოლირებულ კუნძულებს დაემსგავსა, სადაც ჩასაფრებული ალ-შაბაბი და იმპროვიზებული ასაფეთქებელი მოწყობილობები დიდ საფრთხეს უქმნის გზებზე ტვირთების მოძრაობას." UNSC, *მონიტორინგის ჯგუფის მოხსენება სომალის შესახებ,* პარ. 87.

[38] "ბევრგან, სადაც ტერიტორია ოფიციალურად იქნა დატოვებული, ალ-შაბაბი კვლავ ამჟღავნებს იქ მის ყოფნას, ქმნის შიშის ატმოსფეროს, რაც ხელს უშლის ჰუმანიტარული ოპერაციების განხორციელებას [...]. იმ ტერიტორიებზე, რომლებმაც ოფიციალურად 'დააღწიეს თავი' ალ-შაბაბს, ეს ჯგუფი კვლავ აგრძელებს გამოძალვას, რასაც ხელს უწყობს ფულის გადარიცხვები და რემიტენციების სხვა

მოხსენებებიდან ჩანს, რომ ეს შენაერთი ხშირად აწესებს უკანონო საკონტროლო პუნქტებს ძირითად სავაჭრო მარშრუტებზე, საქონლისა და ადამიანთა გადაადგილების კონტროლის მიზნით, ხოლო ქალაქებში ღამით შედიან და თავდასხმებს აწყობენ.[39] ზოგიერთი ანალიტიკოსი ამტკიცებს, რომ უფრო სწორი იქნება ითქვას, რომ FGS-ს 'გავლენა აქვს' ამ ქალაქებზე, ვიდრე ის, რომ ისინი FGS-ის ეფექტური კონტროლის ქვეშ არიან.[40] გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, პარალელურად, ძალაუფლებისათვის მებრძოლ სხვადასხვა კლანებს შორის დაპირისპირება ხშირად გადადის მძიმე ბრძოლებში, ხოლო ქალაქის ადმინისტრაციები თავიანთ ფუნქციებს ვერ ახორციელებენ.[41] თვით მოგადიშუშიც, როგორც ამბობენ, FGS-ი კვლავ მწვავე პრობლემების წინაშე დგას მოქალაქეებისთვის საბაზისო უსაფრთხოების უზრუნველყოფის თვალსაზრისით.[42]

სერვისები." UNSC, *მონიტორინგის ჯგუფის მოხსენება სომალის შესახებ,* დანართი 5.1, პარ. 4, და დანართი 5.3, პარ. 35

[39] აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, 2015 წლის მოხსენება სომალიში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ, 2016 წლის 13 აპრილი, http://www.refworld.org/docid/5716120a8.html; HRW, *World Report 2016 - სომალი,* 2016 წლის 27 იანვარი, http://www.refworld.org/ docid/56bd991f3f.html; UNSC, *გენერალური მდივნის მოხსენება სომალის შესახებ,* 2016 წლის 8 იანვარი, S/2016/27, http://www.refworld.org/docid/5698a0b64.html, პარ. 53; ლიფოსი, *უსაფრთხოების მდგომარეობა სომალიში.*

[40] ლიფოსი, *უსაფრთხოების მდგომარეობა სომალიში.* „მთავრობის მიერ კონტროლირებულ დაბებში მდგომარეობა არამდგრადია. მთავრობის ძალები ვერ იცავს სამოქალაქო მოსახლეობას, ტომთა უხუცესებს, სასულიერო პირებს და კანონშემოქმედებს და სხვა ოფიციალურ პირებს მიზნობრივი მკვლელობებისაგან, რასაც ახორციელებს ალ-შაბაბი და სხვა უცნობი შეიარაღებული პირები, განსაკუთრებით, მოგადიშუში, ბაიდოაში - ყურეს რეგიონის დედაქალაში, და ბელეთვეინში - ჰირაანის დედაქალაქში." HRW, *World Report 2016 - სომალი,* 2016 წლის 27 იანვარი, http://www.refworld.org/docid/56bd991f3f.html

[41] UNSC, *გენერალური მდივნის მოხსენება სომალის შესახებ,* 2016 წლის 8 იანვარი, S/2016/27, http://www.refworld.org/docid/5698a0b64.html, პარ. 22; ლიფოსი, *უსაფრთხოების მდგომარეობა სომალიში.* DIS, *უსაფრთხოების და ადამიანის უფლებათა საკითხები ს/ჩ სომალიში,* გვ. 9-10. "სომალიში აფრიკის კავშირის მისიამ (AMISOM), სომალის ეროვნულმა არმიამ და სხვა გაერთიანებულმა ძალებმა მნიშვნელოვანი ტერიტორიული უპირატესობა მოიპოვეს ალ-შაბაბის წინააღმდეგ, მაგრამ გარდამავალი პერიოდის დასრულების შემდეგ ფედერალური მთავრობის ან დროებითი რეგიონული ადმინისტრაციების შესაძლებლობათა განმტკიცება არ მომხდარა უსაფრთხოების შენარჩუნებისა და მმართველობის ალტერნატიული ფორმების შეთავაზების თვალსაზრისით. […] ალ-შაბაბის ხელისუფლებიდან განდევნის შემდეგ მრავალ რეგიონში ხელისუფლების ვაკუუმი შეიქმნა, რომლსი შევსებასაც ვერ ახერხებს ვერც სომალის ფედერალური მთავრობა და ვერც დროებითი რეგიონული ადმინისტრაციები, და ვერც ეფექტური ადგილობრივი ადმინისტრაციების აღდგენას ახერხებენ, რომელიც უსაფრთხოების შენარჩუნებას შეძლებდა." UNSC, *მონიტორინგის ჯგუფის მოხსენება სომალის შესახებ,* გვ.10 (პარ. 11), and p. 15 (para. 28)

[42] EASO, *COI მოხსენება:უსაფრთხოების სიტუაცია სომალიში,* გვ. 51. UNHCR სომალი, როგორც იგი მოხსენებულია დანიის ფაქტების დამდგენი მისიის მიერ, 2015 წლის მაისი. DIS, *უსაფრთხოების და ადამიანის უფლებათა საკითხები ს/ჩ სომალიში,* გვ. 7, 26. 2015 წლის თებერვალში, მოგადიშუში სასტუმროზე თავდასხმის შემდეგ, რომლის დროსაც, სულ მცირე, 10 ადამიანი დაიღუპა, მაღალი დონის პოლიტიკოსების ჩათვლით, „The Wall Street Journal"-მა გამოაქვეყნა შემდეგი ინფორმაცია: „თავდასხმაზე პასუხისმგებლობა აიღო სომალის ალ-შაბაბმა, რაც შეგვახსენებს, რომ ალ-შაბაბს შეუძლია თავისუფლად გადაადგილდეს კარგად გამაგრებულ ქალაქში და მიზანში ამოიღოს თვით

ჰუმანიტარული სიტუაცია

9.კონფლიქტი გამანადგურებლად მოქმედებს ჰუმანიტარულ სიტუაციაზეც - დაფიქსირებულია შემთხვევები, როდესაც შეიარაღებული ჯგუფების მიერ ხდება სასიცოცხლო მნიშვნელობის ჰუმანიტარული დახმარების დაკავება და ჩამორთმევა.[43] სურსათის უვნებლობასთან და ჯანმრთელობის დაცვის სათანადო მომსახურებასთან დაკავშირებული მუდმივი პრობლემების ფონზე, უსაფრთხოების არამდგრადი სიტუაცია კიდევ უფრო ართულებს ჰუმანიტარული დახმარების და ძირითადი მოხმარების საგნების მიწოდებას მოწყვლადი თემებისთვის.[44] არსებული ინფორმაციის თანახმად, მთავრობის მხარდამჭერ ძალებს და შეიარაღებულ ჯგუფებს ჰუმანიტარული დახმარება ბენეფიციარებამდე არ მიაქვთ; საერთაშორისო

მაღალი დონის თანამდებობის პირებიც-კი. მთავრობა სულ უფრო მეტ ტერიტორიებს ართმევს ალ-შაბაბს სასოფლო რეგიონებში, და მას ბრძოლა სჭირდება იმისათვის, რომ ეს უპირატესობა გაუმჯობესებულ უსაფრთხოებად და სტაბილურობად გარდაქმნას.“ The Wall Street Journal, *შეიარაღებული პირების თავდასხმა სასტუმროზე სომალის დედაქალაქში, მოკლულია, სულ მცირე, 10 ადამიანი,* 2015 წლის 20 თებერვალი, http://www.wsj.com/articles/explosions-at-hotel-in-somali-capital-1424434179. აშშ სახელმწიფო დეპარტამენტმა აღნიშნა, რომ, „ფედერალურ, ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებას არა აქვს საკმარისი უნარი აღკვეთოს და წინასწარვე შეზღუდოს ალ-შაბაბის ტერორისტული თავდასხმები.“ აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, *მოხსენება ქვეყნებში ტერორიზმის შესახებ, 2014 - სომალი, 2015 წლის 19 ივნისი,* http://www.refworld.org/docid/5587c7305f.html

[43] “ჰუმანიტარული დახმარების მიწოდება განზრახ იყო შეზღუდული, მათ შორის, გზების დაბლოკვისა და საკონტროლო პუნქტების მოწყობის მეშვეობით, რასაც მიმართავენ არასახელმწიფო შეიარაღებული ჯგუფები და მებრძოლები სამხრეთ და ცენტრალურ სომალიში.” გაეროს გენერალური ასამბლეა, *ლტოლვილთა, დაბრუნებულთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარება აფრიკაში: გენერალური მდივნის მოხსენება,* 2015 წლის 20 აგვისტო, A/70/337, http://www.refworld.org/docid/560149a34.html, პარ. 44. იხ. აგრეთვე აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, 2015 წლის მოხსენება სომალიში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ, 2016 წლის 13 აპრილი, http://www.refworld.org/docid/5716120a8.html; UNSC, *მონიტორინგის ჯგუფის მოხსენება სომალის შესახებ,* დანართი 5.3, გვ. 218 (პარ. 35)

[44] OCHA, *2016 სომალის ჰუმანიტარულ საჭიროებათა მიმოხილვა, 2016 წლის* 25 ნოემბერი, https://www.humanitarianresponse.info/en/operations/somalia/document/2016-somalia-humanitarian-needs-overview, გვ. 11. “ჰუმანიტარული მისაწვდომობის ხარისხი კვლავ არასაიმედო რჩება, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც 2015 წლის ივლისში ალ-შაბაბმა ძალადობის ახალი ტალღა დაიწყო“ UNSC, *მონიტორინგის ჯგუფის მოხსენება სომალის შესახებ,* გვ. 33 (პარ. 108). “ალ-შაბაბისაგან განთავისუფლებულ ტერიტორიებზე მოპოებული სამხედრო წარმატებას რეალურად არ შეუქმნია ჰუმანიტარული აქტორებისთვის უკეთესი პირობები ახალგანთავისუფლებულ ტერიტორიებზე ძირითადი მოთხოვნილების საგნების მიწოდების თვალსაზრისით.“ OHCHR, დამოუკიდებელ ექსპერტთა მოხსენება, პარ. 16 და 45. იხ. აგრეთვე, გაეროს ახალი ამბების სამსახური, *სომალიში საკვების უსაფრთხოებისა და არასათანადო კვების მდგომარეობა ‘შემაშფოთებელია’ - გაეროს მოხსენება,* 2016 წლის 8 თებერვალი, http://www.refworld.org/docid/56ba1f2540b.html; საკვების უსაფრთხოებისა და ანალიზის განყოფილება, *Somalia Post – Deyr 2015/16, Food Security and Nutrition Outlook (2016 წლის თებერვლიდან ივნისამდე),* 2016 წლის 7 თებერვალი, http://www.fsnau.org/publications; წჯსკ, *ყოველწლიური მოხსენება 2014 - სომალი,* 2015 წლის 9 ივნისი, http://www.refworld.org/docid/558131ac2c.html; UNSC, *გენერალური მდივნის მოხსენება სომალის შესახებ,* 2015 წლის 12 მაისი, S/2015/331, http://www.refworld.org/docid/556581e64.html

დახმარების მრავალმა ორგანიზაციამ დატოვა ან საქმიანობა შეწყვიტა ალ-შაბაბის მიერ კონტროლირებულ ტერიტორიებზე.[45] შეშფოთების საგანი გახდა ძირითადი ბანკების მიერ სომალის რემიტენციების შეზღუდვა, რაც უარყოფითად მოქმედებს ჰუმანიტარულ სიტუაციაზე, და რითაც, მიახლოებითი გაანგარიშებით, 1.2 მილიარდი აშშ დოლარის ოდენობის რემიტენციები - ანუ, ქვეყნის მშპ-ის 20 პროცენტი - რისკის ქვეშ აღმოჩნდა.[46]

პოლიტიკური მოვლენების განვითარება

10. სომალის მთავრობამ, თავის დოკუმენტში „ხედვა - 2016“, ვალდებულება იკისრა, რომ 2015 წელს ჩაატარებდა კონსტიტუციურ რეფერენდუმს, ხოლო 2016 წელს - არჩევნებს.[47] გენერალური მდივნის სპეციალურმა წარმომადგენელმა სომალიში და სომალიში გაეროს დახმარების მისიის (UNSOM) ხელმძღვანელმა, ნიკოლას ქეიმ, შეშფოთება გამოხატა ალ-შაბაბის ზრახვებთან დაკავშირებით, რომელსაც სურს ჩაშალოს პოლიტიკური პროცესი.[48] 2015 წლის ივლისში, პრეზიდენტმა ჰასან შეიხ მოჰამუდმა გამოაცხადა, რომ იგი მოწადინებულია ჩაატაროს არჩევნები 2016 წლის აგვისტოში, მისი ვადის დასრულებამდე, მაგრამ საყოველთაო რეფერენდუმის

---

[45] აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, 2015 წლის მოხსენება სომალიში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ, 2016 წლის 13 აპრილი, http://www.refworld.org/docid/5716120a8.html. “მისდამი დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე ალ-შაბაბი ჰუმანიტარულ დაწესებულებათა უმრავლესობას კვლავ უკრძალავს საქმიანობას“, OHCHR, *დამოუკიდებელ ექსპერტთა მოხსენება,* პარ. 16. “ჰუმანიტარული მისაწვდომობის მთავარი გამოწვევა [...]არის [...] ობსტრუქციული ‘რეგულაცია’ და დაბეგვრა, რომელსაც ფედერალური და რეგიონული მთავრობის თანამდებობის პირები ახორციელებენ.“ UNSC, *მონიტორინგის ჯგუფის მოხსენება სომალის შესახებ,* გვ. 34, პარ. 109.

[46] UNDP, *კონტრტერორისტული ღონისძიებების გამო სომალის დიასპორას სამშობლოში ფულის გაგზავნის ეშინია, გაეროს ექსპერტები,* 2016 წლის 18 იანვარი, http://www.undp.org/content/unct/somalia/en/home/presscenter/news/counter-terrorism-measures-threaten-money-sent-home-by-somali-di.html. ისეთ გარემოში, სადაც სომალის ჰუმანიტარული ფონდები მცირდება, ასეთმა ღონისძიებებმა შეიძლება ჰუმანიტარული მდგომარეობა გაამწვავოს. OHCHR, დამოუკიდებელ ექსპერტთა მოხსენება, პარ. 45. „მრავალ ქვეყანაში ბანკებმა დაიწყეს ფულის გზავნილების ორგანიზაციათა დახურვა, რომლებიც სომალის დიასპორას სამშობლოში ოჯახებისა და მეგობრებისათვის ფულის გაგზავნის საშუალებას აძლევდა, რასაც ისინი იყენებდნენ სურსათისთვის, წყლისთვის, ჯანმრთელობისა და განათლებისთვის“. UNSC, *გენერალური მდივნის მოხსენება სომალის შესახებ,* 2015 წლის 12 მაისი, S/2015/331, http://www.refworld.org/docid/556581e64.html, პარ. 65, 97

[47] Freedom House, *Freedom in the World 2015 - სომალი,* 2015 წლის 15 აპრილი, http://www.refworld.org/docid/553616be24.html

[48] “2016 წელი პოლიტიკურად დაძაბული იქნება: დაბრკოლებებით და ადრენალინით სავსე რბოლა. ალ-შაბაბი ყველაფერს იღონებს, რათა ხელი შეუშალოს ფედერალიზმის განვითარებას და საარჩევნო პროცესს. გაეროს დახმარების მისია სომალიში, *SRSG ნიკოლას ქეის ბრიფინგი სომალის შესახებ გაეროს უშიშროების საბჭოს შეხვედრაზე, 2015 წლის 9 ნოემბერი,* http://unsom.unmissions.org/Default.aspx?tabid=6254&ctl=Details&mid=9770&ItemID=42195&language=en-US. იხ. აგრეთვე, OHCHR, დამოუკიდებელ ექსპერტთა მოხსენება, პარ. 6; გაეროს ახალი ამბების სამსახური, *უშიშროების საბჭო სომალიში გაეროს მისიის ვადას აგვისტომდე აგრძელებს,* 2015 წლის 26 მაისი, http://www.refworld.org/docid/55684cb64.html.

ორგანიზება ვერ მოხერხდება.[49]

იძულებითი გადაადგილება და გასახლება

11. მოსახლეობის იძულებითი გადაადგილების ძირითად გამომწვევ მიზეზთა შორის კვლავ არის შეიარაღებული კონფლიქტი, სამხედრო ოპერაციები, ტომთაშორისი და თემთაშორისი ძალადობრივი დაპირისპირება და ბუნებრივი საფრთხეები.[50] იძულებით გადადგილებულ პირთა (იგპ) ზუსტი რაოდენობა ცნობილი არ არის, მაგრამ მიახლოებული გაანგარიშებით სომალიში იგპ-თა რაოდენობა 1.1 მილიონ ადამიანზე მეტია. მათი უმრავლესობა სამხრეთ და ცენტრალურ რეგიონებში

---

[49] UNSC, *გენერალური მდივნის მოხსენება სომალის შესახებ,* 2016 წლის 8 იანვარი, S/2016/27, http://www.refworld.org/docid/5698a0b64.html, პარ.3. პარლამენტის ქვედა პალატის არჩევა მოხდება ძალაუფლების განაწილების ფორმულის მიხედვით, ტომებს შორის. იხ. AFP, *სომალის კაბინეტი ხელს უწყობს 2016 წლის არჩევნებს; 2016 წლის 29 იანვარი,* http://mgafrica.com/article/2016-01-29-somalia-cabinet-backs-2016-election-in-big-step-women-to-hold-30-of-all-seats-in-parliament; აფრიკის კავშირის მისია სომალიში, *სომალის ეროვნული საკონსულტაციო ფორუმი 2016 წლის საარჩევნო პროცესის განსახილველად იკრიბება,* 2015 წლის ოქტომბერი, http://amisom-au.org/2015/10/somali-national-consultative-forum-convenes-to-discuss-2016-electoral-process/; The Economist, *One Man, No Vote,* 2015 წლის 26 სექტემბერი, http://www.economist.com/news/middle-east-and-africa/21665950-somalia-has-been-attempting-build-government-2007-it-proving-impossible-hold-fully; საგარეო პოლიტიკა, *სომალის გასაოცრად შეკვეცილი არჩევნები, 2015 წლის 6 აგვისტო,* http://foreignpolicy.com/2015/08/06/somalias-incredible-shrinking-election-hassan-sheikh-mohamud.

[50] იხ. მაგალითად, UNHCR-ი - სომალი, *იძულებითი გადაადგილება, რეგისტრირებული დაცვისა და დაბრუნების მონიტორინგის ქსელის მიერ (2015 წლისი 1-31 დეკემბერი),* 2015 წლის 31 დეკემბერი, http://www.refworld.org/docid/56fcc2bf4.html; OCHA, *2016 სომალის ჰუმანიტარული სჭიროებების მიმოხილვა,* 2016 წლის 25 ნოემბერი, https://www.humanitarianresponse.info/en/operations/somalia/document/2016-somalia-humanitarian-needs-overview გვ. 5-11. "ელ ნინოს ფენომენმა, ოქტომბერში, წვიმიანი სეზონის დაწყებისთანავე, დიდი წყალდიდობა გამოიწვია, რამაც მთლიანობაში 145 000 ადამიანი დააზარალა, ხოლო 60 000 იძულებით გადაადგილებული გახდა სამხრეთ და ცენტრალურ სომალიში." UNSC, *გენერალური მდივნის მოხსენება სომალის შესახებ,* 2015 წლის 12 მაისი, S/2016/27, http://www.refworld.org/docid/5698a0b64.html, პარ. 67. "მანდატის პერიოდის ყველაზე მასშტაბური გადაადგილება გამოიწვია იძულებით გადაადგილებულ პირთა ღარიბი თემების იძუელბითმა გამოსახლებამ სომალის ურბანული ცენტრებიდან." UNSC, *მონიტორინგის ჯგუფის მოხსენება სომალის შესახებ,* გვ. 8; იხ. აგრეთვე, იქვე, დანართი 6.4, გვ. 247 (პარ. 58). "არსებული ინფორმაციის თანახმად, 116 000-ზე მეტი ადამიანი იძულებით იქნა გასახლებული 2015 წლის პირველი რვა თვის განმავლობაში". Somalia Humanitarian Country Team, *Contingency Plan Somalia, 2015-16 ელ ნინო,* 2015 წლის სექტემბერი, http://reliefweb.int/report/somalia/somalia-2015-16-el-ni-o-contingency-plan-september-2015, გვ. 3. "2015 წელს ივლისში დაწყებული სამხედრო ოპერაციები მიმართული იყო ახალ იძულებით გადაადგილებაზე სომალის სამხრეთ და ცენტრალურ ნაწილში. დღემდე დაახლოებით 42 000 ადამიანი არის იძულებით გადაადგილებული." Somalia Humanitarian Country Team, *Contingency Plan Somalia, 2015-16 ელ ნინო,* 2015 წლის სექტემბერი, http://reliefweb.int/report/somalia/somalia-2015-16-el-ni-o-contingency-plan-september-2015, გვ. 3.

იმყოფება.[51] მათგან დაახლოებით 370 000 არის მოგადიშუში.[52] სომალელი იძულებით გადაადგილებულ პირთა 70-დან 80 პროცენტამდე ქალები და ბავშვები არიან,[53] რომლებიც, არსებული ინფორმაციის თანახმად, ადამიანის უფლებათა სერიოზული დარღვევების არათანაზომიერი რისკის წინაშე დგანან.[54]

---

[51] UNHCR, *სომალი: 2016 წლის თებერვალი - იძულებით გადაადგილებულ პირთა საერთო რაოდენობა, 2016 წლის 18 მარტი,* http://www.refworld.org/docid/56f15e514.html. NRC/IDMC აღნიშნავს, რომ დაახლოებით 1,1 მილიონი იგპ „არის არსებული შეფასებით, რაც ძალზე სწრაფად იცვლება". გარდა ამისა, სომალის კონტექსტში ზოგჯერ რთულია იძულებითი და ნებაყოფლობითი გადაადგილებების ერთმანეთისაგან გარჩევა. ამასთანავე, იგპ-თა ზუსტი რაოდენობა ცნობილი არ არის, რადგან ქვეყნის ტერიტორიის დიდ ნაწილზე მონიტორინგის ჩატარება შეუძლებელია მისაწვდომობასთან დაკავშირებული სირთულეების გამო, და იმიტომაც, რომ სახელმწიფო არ ახდენს იძულებით გადაადგილებულ პირთა რეგისტრაციას. NRC/IDMC, *Global Overview 2015: კონფლიქტისა და ძალადობის შედეგად გადაადგილებული პირები - აღმოსავლეთი აფრიკა,* 2015 წლის 6 მაისი, http://www.refworld.org/docid/55a61760e.html. იხ. აგრეთვე, აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, 2015 წლის მოხსენება სომალიში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ, 2016 წლის 13 აპრილი, http://www.refworld.org/docid/5716120a8.html; HRW, *სომალი: იძულებით გადაადგილებულ პირთა იძულებითი გამოსახლება,* 2015 წლის 20 აპრილი, http://www.refworld.org/docid/553653094.htm

[52] HRW, *სომალი: გადაადგილებულ პირთა იძულებითი გამოსახლება,* 2015 წლის 20 აპრილი, http://www.refworld.org/docid/553653094.html

[53] OCHA-ის შეფასებით, ყველა იგპ-თა 70-80 პროცენტამდე ქალები და ბავშვები არიან, გაეროს განვითარების პროგრამის 2012 წლის მონაცემების შესაბამისად. OCHA, *2015 ჰუმანიტარული საჭიროებების მიმოხილვა სომალიში,* HRW, *სომალი: გადადგილებულ პირთა იძულებითი გასახლება,* 2015 წლის 20 აპრილი, http://www.refworld.org/docid/553653094.html, 2014 წლის ნოემბერი; https://docs.unocha.org/sites/dms/Somalia/Somalia%202015%20Humanitarian%20Needs%20Overview%20-%20FINAL.pdf. იხ. აგრეთვე, UNDP, *მოხსენება სომალიში ჰუმანიტარული მდგომარეობის შესახებ 2012,* http://hdr.undp.org/sites/default/files/reports/242/somalia_report_2012.pdf, გვ. 23.

[54] OCHA, *2016 სომალის ჰუმანიტარული საჭიროებების მიმოხილვა, 2016 წლის 25 ნოემბერი,* https://www.humanitarianresponse.info/en/operations/somalia/document/2016-somalia-humanitarian-needs-overview; HRW, *World Report 2016 - სომალი, 2016 წლის 27 იანვარი,* http://www.refworld.org/docid/56bd991f3f.html, გვ. 8-9. სექსუალური და გენდერული დანაშაულის მსხვერპლთა 84 პროცენტი იძულებით გადაადგილებული პირები არიან. UNSC, *მონიტორინგის ჯგუფის მოხსენება სომალის შესახებ,* დანართი 6.4, გვ. 244 (პარ.48). იხ. აგრეთვე, აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, 2015 წლის მოხსენება სომალიში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ, 2016 წლის 13 აპრილი, http://www.refworld.org/docid/5716120a8.html; OHCHR, *დამოუკიდებელ ექსპერტთა მოხსენება,* პარ. 43, 50-51; UNSC, *გენერალური მდივნის მოხსენება სომალის შესახებ,* 2015 წლის 12 მაისი, S/2015/331, http://www.refworld.org/docid/556581e64.html, პარ 62, 65; HRW, *სომალი: იძულებით გადაადგილებულ პირთა იძულებითი გამოსახლება, 2015 წლის 20 აპრილი,* http://www.refworld.org/docid/553653094.html; Minority Rights Group International, *უმცირესობათა და მკვიდრი მოსახლეობის მდგომარეობა მსოფლიოში 2015 - სომალი, 2015 წლის 2 ივლისი,* http://www.refworld.org/docid/55a4fa4313f.html; NRC/IDMC, სომალი: მილიონზე მეტ იძულებით გადაადგილებულ პირს სჭირდება მხარდაჭერა ადგილობრივი გადაწყვეტის მისაღწევად, 2015 წლის 18 მარტი, http://www.refworld.org/docid/550fcb244.html, გვ. 1. არსებული ინფორმაციის თანახმად, ადამიანის უფლებათა დარღვევების მიმართ განსაკუთრებით მოწყვლადნი არიან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე იძულებით გაადადგილებული პირები, ისინი დგანან ექსპლუატაციის, გაუპატიურების და ცუდი ცხოვრების პირობების საფრთხის წინაშე. მთავრობა მათ ხშირად იძულებით ასახლებს საცხოვრისიდან და სხვა არჩევანი არა აქვთ, გარდა იმისა, რომ მოგადიშუს გარეუბანში დასახლდნენ. Refugees International, *Disable and Displaced: the Plight of Somalia's Most Vulnerable*,

იგპ-თა ჩასახლების ადგილებში სავალალო პირობებია,[55] ხოლო იგპ-თა უმრავლესობისთვის, დღევანდელ გარემოებებში, პრობლემების გრძელვადიანი გადაწყვეტა პრაქტიკულად შეუძლებელია.[56] არსებული ინფორმაციის შესაბამისად, იძულებით გადაადგილებული პირები სურსათის მიწოდებასთან დაკავშირებით, სერიოზული პრობლემების წინაშე დგანან. მრავალი მათგნი არასათანადო კვების საგანგაშო ზღვარს მიღმა იმყოფება; სიტუაციას კიდევ უფრო ამძიმებს გვალვები.[57]

2016 წლის 2 თებერვალი, http://www.refugeesinternational.org/blog/2016/2/2/disable-and-displaced-the-plight-of-somalias-most-vulnerable. იხ. აგრეთვე, Amnesty International, *სომალი: შეზღუდული შესაძლებლობების პირთა ექსპლუატაცია, გაუპატიურება და შეურაცხყოფა,* 2015 წლის 12 მარტი, https://www.amnesty.org/en/latest/news/2015/03/somalia-people-with-disabilities-exploited-raped-and-abused/.

[55] DIS, *უსაფრთხოების და ადამიანის უფლებათა საკითხები ს/ჩ სომალიში,* გვ. 26. „მრავალი იძულებით გადაადგილებული პირი გაუსაძლის და ძირითადად დაუცველ პირობებში ცხოვრობს გადაჭედილ ჩასახლების ადგილებში, სადაც შეზღუდული წვდომა აქვთ წყალზე, სანიტარიულ და ჰიგიენურ სერვისებზე, რის გამოც დაავადების დიდი რისკის წინაშე დგანან“. Somalia Humanitarian Country Team, *Contingency Plan Somalia, 2015-16 ელ ნინო, 2015 წლის სექტემბერი,* http://reliefweb.int/report/ somalia /somalia-2015-16-el-ni-o-contingency-plan-september-2015, გვ. 3

[56] 2015 წლის დეკემბერში, რეზიდენტ კოორდინატორმა/ჰუმანიტარულმა კოორდინატორმა დეტალური გრძელვადიანი გადაწყვეტის შემუშავება დაიწყო სომალელი იძულებით გადაადგილებული პირებისთვის. გაეროს DSRSG/RC/HC-ის სპეციალური მრჩეველი იძულებით გადაადგილებულ პირთა საკითხებში, *სომალის* იგპ-თა გდაწყვეტის ინიციატივა: მისია ნაირობსა და სომაალიში, 2016 წლის 27 ინვარი - 11 თებერვალი, http://www.regionaldss.org//sites/default/files/2016Feb29_Kaelin_second%20mission__%20report%__20FINAL.pdf. სომალის დაბრუნების კონსორციუმი მუშაობს იგპ-თა ნებაყოფლობითი დაბრუნების მხარდაჭერაზე და რეინტეგრაციაზე. დამატებითი ინფორმაციისთვის იხ.: http://somaliareturnconsortium.org/. ინიციატივას მხარს უჭერს „Solutions Alliance Somalia“, რათა მოხდეს გაჭიანურებული ადგილმონაცვლეობის სიტუაციის დარეგულირება. დამატებითი ინფორმაცია იხ.: http://www.endingdisplacement.org/. სამშვიდობო პროცესის პრიორიტეტებთან და სახელმწიფოს მშენებლობის მიზნებთან დაკავშირებით იხ.: http://new-deal.so/peacebuilding-and-state-building-goals-psg/

[57] OCHA, *სომალი: ჰუმანიტარული მდგომარეობა (2016 წლის 12 თებერვლისთვის),* 2016 წლის 10 თებერვალი, http://reliefweb.int/report/somalia/somalia-humanitarian-snapshot-12-february-2016. “ეროვნულ დონეზე, დღეისათვის (2016 წლის იანვარი) კრიზისში (IPC ფაზა 3) და უკიდურეს მდგომარეობაში (IPC ფაზა 4) მყოფ ადამიანთა რაოდენობა 912 000-ს აღწევს - იგპ მთლიანად 71 პროცენტს შეადგენს. დამატებით დაახლოებით 3.6 მილიონი ადამიანი არის კლასიფიცირებული სტრესის ქვეშ მყოფად (IPC ფაზა 2).“ სურსათის უსაფრთხოებისა და ანალიზის განყოფილება, *Somalia Post – Deyr 2015/16, Food Security and Nutrition Outlook (2016 წლის თებერვლიდან ივნისამდე),* 2016 წლის 7 თებერვალი, http://www.fsnau.org/publications. “არასათანადო კვების დონე, განსაკუთრებით ბავშვებს შორის, სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს - ხუთ წლამდე ასაკის დაახლოებით 305 000 ბავშვი არასათანადო კვების მწვავე პრობლემის წინაშე დგას. ჩვენი გაანგარიშებით, 58 000 ბავშვს სიკვდილი ემუქრება, თუ არ მოხდება მათი სათანადო მკურნალობა. მომავალ თვეებში გვალვამ შეიძლება ეს რაოდენობა კიდევ უფრო გაზარდოს“. გაეროს ახალი ამბების სამსახური, *საკვების უსაფრთხოებისა და არასათანადო კვების სიტუაცია სომალიში 'საგანგაშოა'* - გაეროს მოხსენება, 2016 წლის 8 თებერვალი, http://www.refworld.org/docid/56ba1f2540b.html. იხ. აგრეთვე, Somalia Humanitarian Country Team, *Contingency Plan Somalia, 2015-16 ელ ნინო, 2015 წლის სექტემბერი,* http://reliefweb.int/report/somalia/somalia-2015-16-el-ni-o-contingency-plan-september-2015, გვ. 3; გაეროს რეზიდენტი და ჰუმანიტარული კოორდინატორი სომალიში, *სომალი: სურსათის უსაფრთხოება და არასათანადო კვების სიტუაცია საგანგაშოა, 2016 წლის 8 თებერვალი,*

12. როგორც ამბობენ, მათი ძირითადი მხარდამჭერი სტრუქტურები ინდივიდუალური ოჯახები და ტომები არიან, რომლებიც უზრუნველყოფენ იძულებით გადაადგილებულ პირთა აუცილებელი მოთხოვნების დაკმაყოფილებას (როგორიცაა, დაბინავება და სურსათი).[58] უმცირესობათა ტომების შესაძლებლობები ვერ აკმაყოფილებს დახმარებაზე გაზრდილ საჭიროებას, რის გამოც ოჯახთა და ტომთა ქსელები იძულებით გადაადგილებულ ნათესავებს ვეღარ ეხმარებიან.[59] უმცირესობათა ტომების წევრებს ხშირად სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი დაცვა არ აქვთ და მწვავე დისკრიმინაციას განიცდიან. იგივე მდგომარეობაში არიან სხვებიც, ვინც ადგილმონაცვლეობის შემდეგ თავიანთი ჩვეული სოციალური ტომის სტრუქტურის გარეთ ხვდება და ვერ სარგებლობს იმ დაცვითა და დახმარებით, რასაც ზოგადად ასეთი სოციალური ქსელები უზრუნველყოფს.[60] მაგალითად,

---

http://reliefweb.int/report/somalia/somalia-food-security-and-malnutrition-situation-alarming; OCHA, *ჰუმანიტარული რეაგირების გეგმა: სომალი, 2016 წლის იანვარი-დეკემბერი,* https://www.humanitarianresponse.info/en/operations/somalia/document/somalia-2016-humanitarian-response-plan; OHCHR, დამოუკიდებელ ექსპერტთა მოხსენება, *პარ.45; დამოუკიდებელ ექსპერტთა მოხსენება,* პარ.45; BBC, *სომალიში გვალვა 50 000 ბავშვს 'სიკვდილით ემუქრება',* 2016 წლის 8 თებერვალი, http://www.bbc.com/news/world-africa-35522643.

[58] "სომალის ტომობრივი სისტემაქვეყნის სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებას აყალიბებს და იგი უმნიშვნელოვანესია თანამედროვე სომალის საზოგადოების მრავალი ასპექტის გასაგებად, იძულებითი გადაადგილების ჩათვლით. გაფართოებული ოჯახი და ტომისადმი კუთვნილება დაცვის ძირითადი წყაროა და იგი განსაზღვრავს წვდომას სოციალურ დახმარებაზე." NRC/IDMC, *სომალი: მილიონზე მეტ იძულებით გადაადგილებულ პირს სჭირდება მხარდაჭერა ადგილობრივი გადაწყვეტის მისაღწევად,* 2015 წლის 18 მარტი, http://www.refworld.org/docid/550fcb244.html, გვ. 5. "თუ პირი დაბრუნდა ტერიტორიაზე, სადაც მას არა აქვს ძლიერი [ტომთან] კავშირები, მისი დაცვა იქნება უფრო სუსტი, ვიდრე იმ შემთხვევაში, ტომისა და თემის მხარდაჭერისა და სოლიდარობის იმედი რომ ჰქონოდა. ადამიანები, რომლებიც დაბრუნების ადგილზე რომელიმე ტომს არ მიეკუთვნებიან, დაცვასთან დაკავშირებული პრობლემების გაზრდილი რისკის წინაშე დგანან. [...] მოგადიშუში სომალელებისთვის ძალიან ძნელია მხარდამჭერი ქსელის გარეშე გადარჩენა, და ქალაქში ახალჩამოსულები, განსაკუთრებით ისინი, რომლებიც არ მიეკუთვნებიან ტომებს ან მოცემულ უბანში დაფუძნებულ ძირეულ ოჯახებს, ან თუ ისინი არიან იმ ტერიტორიიდან, რომლებსაც მანამდე ან ამჟამად აკონტროლებს აჯანყებულთა ჯგუფი, დედაქალაქში არასაიმედო პირობებში აღმოჩნდებიან. ხშირად ისინი იძულებულნი არიან იგპ-თა ჩასახლების ადგილებში დაბინავდნენ. [...] ადამიანები, რომლებიც ტოვებენ ალ-შაბაბის მიერ დაკავებულ ტერიტორიებს და AMISOM/SNAF-ის მიერ კონტროლირებულ ტერიტორიებზე გადაადგილებას ცდილობენ, იძულებულნი არიან დასახლდნენ იგპ-თა ჩასახლების ადგილებში, თუკი მათ არა ჰყავთ ძირეული ან გაფართოებული ოჯახი სათანადო რესურსებით, რომლბიც მათ დაეხმარებიან." DIS, *უსაფრთხოების და ადამიანის უფლებათა საკითხები ს/ჩ სომალიში,* გვ.20, 21, 26.

[59] UNHCR-მა ადრე მიუთითა, რომ „მოგადიშუში პირთა მიღების შესაძლებლობა ამოწურულია და ქალაქში და მის შემოგარენში მასობრივი დაბრუნება დღევანდელ გარემოებებში სერიოზულ ჰუმანიტარულ შედეგებს მოიტანს, თუკი არ გადაიდგმება სასწრაფო და არსებითი ნაბიჯები სიტუაციის მასშტაბური გამოსწორებისთვის, განსაკუთრებით, იძულებით გადაადგილებული პირებისთვის." DIS, *უსაფრთხოების და ადამიანის უფლებათა საკითხები ს/ჩ სომალიში,* გვ.23, იხ. აგრეთვე, იქვე, გვ. 20.

[60] "უმრავლეს ადგილებში, ადამიანები, რომლებიც დომინანტ ტომებს არ მიეკუთვნებიან, შეიძლება გამორიცხულნი იქნენ მმართველობით ინსტიტუტებში ეფექტური მონაწილეობისაგან და დაექვემდებარონ დისკრიმინაციას დასაქმებაზე, სასამართლო პროცესებზე და საზოგადოებრივ სერვისებზე ხელმისაწვდომობის კუთხით." http://www.refworld.org/docid/5716120a8.html. აშშ

სომალის ბანტუს ტომი, ასევე უმცირესობათა სხვა ტომები, განსაკუთრებით მოწყვლადნი არიან დისკრიმინაციის მიმართებით; ისინი უკიდურესი სიღარიბის, გარიყვისა და მარგინალიზაციის მსხვერპლნი ხდებიან და, არსებული ინფორმაციის თანახმად, არათანაზომიერად ექვემდებარებიან მკვლელობის, წამების, გაუპატიურების, გამოსყიდვის მიზნით მოტაცების, იძულებითი რეკრუტის და იძულებითი შრომის ფორმებს. შეიარაღებული ჯგუფები და უმრავლესობის ტომის წევრები ანადგურებენ მათ მიწებსა და ქონებას, რასაც კიდევ უფრო უწყობს ხელს იქ გავრცელებული დაუსჯელობის ატმოსფერო.[61]

13. 2015 წელს, სომალის მრავალ ქალაქსა და დაბაში საგრძნობლად გაიზარდა სახელმწიფო და კერძო მიწებიდან და შენობებიდან იგპ-თა გამოსახლების შემთხვევები, მათ შორის, მოგადიშუში, კისმაიოში, ბაიდოაში, გალკაიოში, ბოსასოში, ჰარგეისაში და ლუქში.[62] არსებული ინფორმაციის თანახმად, 2015 წლის

სახელმწიფო დეპარტამენტი, 2015 წლის მოხსენება სომალიში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ, 2016 წლის 13 აპრილი; Minority Rights Group International, *უმცირესობათა და მკვიდრი მოსახლეობის მდგომარეობა მსოფლიოში 2015 - სომალი,* 2015 წლის 2 ივლისი, http://www.refworld.org/docid/55a4fa4313f.html; OHCHR, *დამოუკიდებელ ექსპერტთა მოხსენება, პარ. 43.*

[61] ბანტუს ეთნიკური ჯგუფი, არსებული ინფორმაციის თანახმად, უმცირესობათა ყველაზე დიდი ჯგუფია სომალიში. მათ ხშირად თავს ესხმიან უმრავლესობის ტომების წარმომადგენლები. აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, *2015 მოხსენება ადამიანის ტრეფიკინგის შესახებ - სპეციალური შემთხვევა: სომალი,* 2015 წლის 27 ივლისი, http://www.refworld.org/docid/55b73b9d6.html. იხ. აგრეთვე, აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, 2015 წლის მოხსენება სომალიში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ, 2016 წლის 13 აპრილი, http://www.refworld.org/docid/5716120a8.html; *უმცირესობათა და მკვიდრი მოსახლეობის მდგომარეობა მსოფლიოში 2015 - სომალი,* 2015 წლის 2 ივლისი, http://www.refworld.org/docid/55a4fa4313f.html; Minority Rights Group International, *Looma Ooyaan – No One Cries for Them: The Predicament Facing Somalia's Minority Women,* 2015 წლის 30 იანვარი, http://www.refworld.org/docid/556ea6db4.html, გვ. 9-10, 19, 23; რიფტის ხეობის ინსტიტუტი (RVI), *მასპინძლები და სტუმრები: სამხრეთ და ცენტრალურ სომალიში მიწასთან დაკავშირებული კონფლიქტის ისტორიული განმარტება* 2015, http://www.refworld.org/docid/54f86b8f4.html, გვ. 18-22. არსებული ინფორმაციის თანახმად, ალ-შაბაბმა მრავალი ახალგაზრდა მამაკაცის რეკრუტი მოახდინა ბანტუს ტომიდან. ბანტუს ზოგიერთი ჯგუფი ალ-შაბაბს უსაფრთხოების წყაროდ იყენებს დომინანტი უმრავლესობის ტომების წინააღმდეგ. DIS, *უსაფრთხოების და ადამიანის უფლებათა საკითხები ს/ჩ სომალიში,* გვ. 27, 40, 47, 51. ამავდროულად, არსებობს ინფორმაცია, რომ სომალელი ბანტუს უმცირესობების რელიგიური დევნა ხშირად ხდება ალ-შაბაბის მხრიდან. თავშესაფრის მხარდაჭერის ევროპის ოფისი (EASO*), EASO წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაციასთან დაკავშირებული მოხსენება. მოხსენება სამხრეთი და ცენტრალური სომალის შესახებ,* 2014 წლის აგვისტო, http://www.refworld.org/docid/542e8b9d4.html, განყოფილებები 1.2.2, 2.2.1, 2.2.3, 4.2.1.1, და 4.3.2.

[62] OHCHR, *დამოუკიდებელ ექსპერტთა მოხსენება,* პარ. 50. UNHCR, *იძულებითი გამოსახლება მოგადიშუში, 2015 წლის 1 იანვარი - 28 თებერვალი,* http://www.refworld.org/docid/5608e0a64.html; NRC/IDMC, *სომალი: მილიონზე მეტ იძულებით გადაადგილებულ პირს სჭირდება მხარდაჭერა ადგილობრივი გადაწყვეტის მისაღწევად,* 2015 წლის 18 მარტი, http://www.refworld.org/docid/550fcb244.html, გვ. 3. "2015 წლის პირველი ორი თვის განმავლობაში 40000 ადამიანი გამოასახლეს, ძირითადად, მოგადიშუში, რის შემდეგაც მათ ქალაქის გარეუბნებისკენ გადაინაცვლეს, სადაც შეზღუდულია წვდომა ძირითად სერვისებზე." 2015 წლის 12 მაისი, S/2015/331,

პირველი რვა თვის განმავლობაში იძულებით გამოასახლეს 116 000 ადამიანი.[63] ამ გამოსახლებათა უმრავლესობა არამართლზომიერი იყო, რადგან არ ხდებოდა კანონიერი პროცესის საფუძველზე, ხოლო გამოსახლებულებს ადეკვატურ ალტერნატივას არ სთავაზობდნენ.[64] მოგადიშუში გამოსახლებულთა უმრავლესობა აიძულეს ქალაქის გარეუბანში გადასულიყვნენ, სადაც უსაფრთხოება სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს; გაბატონებულია უფლებათა დარღვევა, დაბებში ცხოვრების პირობები აუტანელია, ხოლო ძირითადი სერვისები ძალზე მწირია.[65] იძულებითმა გამოსახლებამ სომალელ იგპ-თა ჰუმანიტარული და ადამიანის უფლებათა სიტუაცია კიდევ უფრო გაამწვავა.[66] როგორც ცნობილია, იძულებითი გამოსახლება ხდება როგორც ხელისუფლების, ისე კერძო პირთა წაქეზებით.[67]

---

http://www.refworld.org/docid/556581e64.html, პარ. 65. არსებული ინფორმაციის თანახმად, 2015 წლის მარტში, უშიშროების ძალებმა, დაახლოებით 21000 იგპ გამოასახლა მოგადიშუს არაფორმალური ბანაკებიდან, რისთვისაც ძალა გამოიყენეს სამოქალაქო პირთა მიმართ, გაანადგურეს მათი თავშესაფრები და ქონება. *უმცირესობათა და მკვიდრი მოსახლეობის მდგომარეობა მსოფლიოში 2015 - კაზუსი: უმცირესობები მოგადიშუს ზღვარზე,* 2015 წლის 2 ივლისი, http://www.refworld.org/docid/55a4fa2ec.html; HRW, *სომალი: გადაადგილებულ პირთა იძულებითი გამოსახლება,* 2015 წლის 20 აპრილი, http://www.refworld.org/docid/553653094.html. 2014 წლის ინავრიდან დეკემბრამდე 32 000-ზე მეტი პირი (იგპ-თა 90%-ზე მეტი) იძულებით გამოასახლეს. UNHCR, *იძულებითი გამოსახლება მოგადიშუში, 2014 წლის 1 იანვარი - 28 დეკემბერი,* 2014 წლის 1 დეკემბერი, http://www.refworld.org/docid/5608e1654.html

[63] Somalia Humanitarian Country Team, *Contingency Plan Somalia, 2015-16 ელ ნინო,* 2015 წლის სექტემბერი, http://reliefweb.int/report/somalia/somalia-2015-16-el-ni-o-contingency-plan-september-2015, გვ. 3

[64] აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, 2015 წლის მოხსენება სომალიში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ, 2016 წლის 13 აპრილი, http://www.refworld.org/docid/5716120a8.html; UNSC, უშიშროების საბჭოს რეზოლუცია *2232 (2015) [აფრიკის კავშირის მისიის განლაგება სომალიში (AMISOM) 2016 წლის 30 მაისამდე და სომალიში გაეროს დახმარების მისიის მანდატის გაგრძელება (UNSOM) 2016 წლის 30 მარტამდე], 2015 წლის 28 ივლისი,* S/RES/2232 (2015), http://www.refworld.org/docid/55e5bdb44.html, პარ. 30; Legal Action Worldwide and Norwegian Refugee Council, *საცხოვრისთან, მიწასთან და ქონებასთან დაკავშირებული საკითხები სომალიში, პრობლემის წინაშე მდგარი ადამიანები სომალილენდში და სამხრეთ-ცენტრალურ სომალიში,* 2014 წლის ოქტომბერი, http://www.refworld.org/docid/565da3ed4.html, გვ. 27-28.

[65] HRW, *სომალი: გადაადგილებულ პირთა იძულებითი გამოსახლება,* 2015 წლის 20 აპრილი, http://www.refworld.org/docid/553653094.html; UNHCR, *იძულებითი გამოსახლება მოგადიშუში, 2015 წლის 1 იანვარი - 28 თებერვალი,* 2015 წლის 28 თებერვალი, http://www.refworld.org/docid/5608e0a64.html. "დაცვის, მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხების გართულებამ დაახლოებით 100 000 მოწყვლადი იგპ აიძულა აფგოიეს კორიდორისკენ დაძრულიყო - ეს არის ალ-შაბაბის კოტნროლის ქვეშ მყოფი ტერიტორია - რაც, როგორც ჩანს, მოსალდონელი არ იყო; UNSC, *მონიტორინგის ჯგუფის მოხსენება სომალის შესახებ,* დანართი 6.4, გვ. 247 (პარ.59).

[66] "იგპ-თა მიერ საცხოვრისის, მიწისა და საკუთრების უფლებების გამოყენება მკაცრად არის შეზღუდული, რადგან იძულებითი გამოსახლების შემთხვევები მატულობს." Somalia Humanitarian Country Team, *Contingency Plan Somalia, 2015-16 ელ ნინო,* 2015 წლის სექტემბერი, http://reliefweb.int/report/somalia/somalia-2015-16-el-ni-o-contingency-plan-september-2015, გვ. 3

[67] HRW, *სომალი: სამოქალაქო მოსახლეობა სერიოზული რისკის წინაშე,* 2016 წლის 27 იანვარი, http://www.refworld.org/docid/56b120a111.html; UNSC, *მონიტორინგის ჯგუფის მოხსენება სომალის შესახებ,* გვ. 8, და დანართი 6.4, გვ. 247 (პარ. 58); HRW, *სომალი: გადაადგილებულ პირთა იძულებითი*

იძულებითი გამოსახლება ასევე გამოიყენება „სხვადასხვა აქტორთა მიერ“, როგორც „ომის ტაქტიკა, კონტროლის მოპოვებისა და დამკვიდრების მიზნით“.[68]

ომისაგან დაზარალებული ქვეყნებიდან დეპორტაცია და დაბრუნება

14. 2013 წლის დეკემბრიდან 2015 წლის სექტემბრამდე, სომალის დაახლოებით 70000 მოქალაქის დეპორტაცია მოხდა საუდის არაბეთის სამეფოდან. არსებული ინფორმაციის თანახმად, დეპორტირებულთაგან მრავალმა ვერ მოახერხა სომალიში მისი წარმოშობის ადგილებზე დაბრუნება, რაც იგპ-თა განთავსების ადგილებში ჩასახლებით დასრულდა.[69]

15. იემენში შეიარაღებული დაპირისპირების განახლების შედეგად, 31000 ადამიანი გაიქცა იემენიდან სომალიში, მათ შორის, 27000-ზე მეტი სომალელი ლტოლვილია, რომლებიც თავდაპირველად სომალიდან იემენში გაიქცნენ, ხოლო შემდეგ - კვლავ სომალიში. დანარჩენები იემენის ან მესამე ქვეყნების მოქალაქეები არიან, რომლებიც იემენიდან სომალიში გაიქცნენ.[70] იემენიდან სომალიში ჩასულ პირთა ნახევარზე

გამოსახლება, 2015 წლის 20 აპრილი, http://www.refworld.org/docid/553653094.html. 2013 წელს სომალის ხელისუფლებამ გამოაცხადა მისი განზრახვის შესახებ მოგადიშუში გადაჭარბებული მოსახლეობის სიტუაციის გაიოლებასთან დაკავშირებით, რისთვისაც გეგმავდა 270 000 გადაადგილებული პირის გადაყვანას თავშესაფრებიდან ბანაკებში, ქალაქის გარეუბანში. აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, 2014 წლის მოხსენება სომალიში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ, 2015 წლის 25 ივნისი, http://www.refworld.org/docid/559bd53c12.html.

[68] NRC/IDMC, *სომალი: მილიონზე მეტ იძულებით გადაადგილებულ პირს სჭირდება მხარდაჭერა ადგილობრივი გადაწყვეტის მისაღწევად,* 2015 წლის 18 მარტი, http://www.refworld.org/docid/550fcb244.html, გვ. 3.

[69] აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, 2015 წლის მოხსენება სომალიში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ, 2016 წლის 13 აპრილი, http://www.refworld.org/docid/5716120a8.html.

[70] Somalia Task Force on Yemen Situation, *Weekly Inter-Agency Update #4,* 2016 წლის 16 – 29 თებერვალი, http://data.unhcr.org/horn-of-africa/country.php?id=197; UNHCR *Yemen Regional Refugee and Migrant Response Plan: Arrivals from Yemen by Country,* ბოლო განახლება - 2016 წლის მარტი, http://data.unhcr.org/yemen/regional.php; Integrated Regional Information Networks (IRIN), *სომალი იემენელებს უფრო უსაფრთხო ბინადრობას სთავაზობს,* 2016 წლის 2 თებერვალი, http://www.refworld.org/docid/56b1b8b24.html. მოსალოდნელია, რომ 2016 წლის ბოლოსთვის, დაბრუნებულ სომალელთა და ქვეყანაში სხვა ახალშემოსულ პირთა რაოდენობა 111 000-ს მიაღწევს. UNHCR, სიტუაცია იემენში: რეგიონული ლტოლვილებისა და მიგრანტების სიტუაციაზე რეაგირების გეგმის მიმოხილვა, 2015 წლის ოქტომბერი-დეკემბერი/2016 წლის იანვარი-დეკემბერი, *2015 წლის ოქტომბერი,* http://www.refworld.org/docid/561378d24.html, გვ. 42. იხ. აგრეთვე, BBC, *იემენელი ლტოლვილები არშემდგარ სახელმწიფოში დაბრუნებას ამჯობინებენ,* 2015 წლის 30 ოქტომბერი, http://www.bbc.com/news/world-middle-east-34645877; მსოფლიოს სასურსათო პროგრამა, *On the Run Again: Somali Refugees Return Home from Yemen,* 28 August 2015, https://www.wfp.org/stories/somali-refugees-yemen. 2015 წლის 1 აპრილიდან 2016 წლის 8 თებერვლამდე, მთლიანობაში 171 442 ადამიანი გაიქცა იემენიდან. UNHCR, *იემენი: იემენიდან რეგიონში შემოსულთა საერთო რაოდენობა,* ბოლო განახლება - 2016 წლის 8 თბერვალი, http://data.unhcr.org/yemen/regional.php. იხ. აგრეთვე, UNHCR, *იემენის სიტუაცია: რეაგირება რეგიონის ლტოლვილებისა და მიგრანტთა სიტუაციაზე - მოსახლეობის გასვლა იემენიდან,* 2016 წლის 1 იანვარი, http://data.unhcr.org/yemen/regional.php; UNHCR, *Yemen Situation: UNHCR Regional Update #34,* 2015 წლის დეკემბერი, http://data.unhcr.org/yemen/regional.php.

მეტს, დაბრუნებული სომალელი ლტოლვილების ჩათვლით, მოგადიშუში ჩასვლა სურს.[71] შეშფოთება გამოითქვა იმასთან დაკავშირებით, რომ სომალის მათ მისაღებად შეზღუდული შესაძლებლობები აქვს და რომ დაბრუნებული ლტოლვილები მთელი რიგი პრობლემების წინაშე დგანან.[72] ამავდროულად, და იემენში მიმდინარე

"იემენი ასევე მასპინძლობს 266 000 ლტოლვილს, რომელთაგან დაახლოებით 266 000 სომალელია." UNHCR, *UNHCR Warns Against Perilous Horn of Africa Sea Crossings,* 2016 წლის 19 იანვარი, http://www.unhcr.org/569e3b19530.html.

[71] 2015 წლის 27 მარტიდან იემენში კრიზისის განახლების ადრეულ პერიოდამდე და 2016 წლის 1 თებერვალს სულ 30 728 ადამიანი გაიქცა იემენიდან სომალიში. მათგან 53-მა პროცენტმა მოგადიშუში წასვლის სურვილი გამოთქვა. UNHCR, *Somalia Task Force on Yemen Situation: Inter-Agency Update #2 (19 January – 01 February 2016),* 2016 წლის 1 თებერვალი, http://www.refworld.org/docid/56bd9e254.html. იხ. აგრეთვე, UNHCR სომალი, *სომალელი ლტოლვილები აფრიკის რქისა და იემენის ტერიტორიაზე,* 2016 წლის იანვარი, http://reliefweb.int/sites/reliefweb.int/files/resources/January_2016_Somalia_Refugees_Horn_of_Africa.pdf

[72] OCHA, "მდგრადობის უზრუნველსაყოფად საჭიროა მიმღები თემებისა და სამთავრობო ინსტიტუტების შესაძლებლობათა გაძლიერება. The influx [of persons fleeing from Yemen to Somalia] adds to the larger longstanding situation of internally displaced persons in the country and Somali refugees in neighbouring countries." OCHA, *2016 Somalia Humanitarian Needs Overview,* 2015 წლის 25 ნოემბერი, https://www.humanitarianresponse.info/en/operations/somalia/document/2016-somalia-humanitarian-needs-overview, გვ. 9. "დაბრუნებულთა ნაკადი და იემენის კონფლიქტისაგან ლტოლვილთა გაქცევა კიდევ უფრო ზრდის ძირითადი სერვისების შეზღუდვის დონეს." UNICEF, *2016 ჰუმანიტარული მოქმედება ბავშვებისთვის: სომალი,* http://www.unicef.org/appeals/files/ HAC_2016_Somalia.pdf. "სომალელ დაბრუნებულთა რეინტეგრაცია დამატებით პრობლემებს ქმნის, რადგან მასშტაბურმა კონფლიქტმა და პოლიტიკურმა დაპირისპირებამ დააზიანა ძირითადი ინფრასტრუქტურა; მოსახლეობის სამ მეოთხედზე მეტს არა აქვს წვდომა ჯანდაცვაზე, სათანადო სანიტარიულ მდგომარეობაზე და უვნებელ სასმელ წყალზე. […] სომალის ხელისუფლებას ზოგადად შეზღუდული საშუალებები აქვს საშუალო/დიდი მასიური ნაკადების მისაღებად, და ბევრი ადამიანი დგას რთული გარემოებების წინაშე, რაც დამახასიათებელი არის კონფლიქტის, ძალადობის, საფრთხის, გაჭიანურებული ადგილმონაცვლეობის, ცუდი საცხოვრებელი პირობების და ფუნქციონირებადი ან ეფექტური ინსტიტუტების არარსებობის სიტუაციებისთვის. […] შესაბამისად, ლტოლვილებისთვის, დაბრუნებულებისა და იძულებით გადაადგილებული პირებისთვის კვლავ პრობლემურია თავშესაფარზე, ინფრასტრუქტურაზე, ჯანდაცვაზე, წყალსა და სანიტარიულ სერვისზე, განათლებაზე და საარსებო საშუალებათა მოპოვების შესაძლებლობებზე მისაწვდომობა; გრძელვადიანი გადაწყვეტები კვლავ შეზღუდულია. […] 2015 წელს იემენიდან ლტოლვილთა, დაბრუნებულთა და მიგრანტთა მოულოდნელმა და სწრაფმა ზრდამ ზღვრამდე მიიყვანა სააგენტოთა შესაძლებლობები ადეკვატური დახმარების გაწევის თვალსაზრისით, ხოლო ურბანული ტერიტორიები, როგორიცაა, ჰარგეისი და ბოსასო, მძიმე მდგომარეობაში იყო და კვლავაც იბრძვის იმისიათვის, რომ შეითვისოს ახალჩამოსულები, რომლებიც ეძებენ საკვებს, თავშესაფარსა და საცხოვრებელს. […] წარმოშობის ადგილის ან არჩევანის შესაბამისად დაბრუნება ძნელი იქნება სომალელი ლტოლვილებისთვის, რომლებიც სამხრეთი და ცენტრალური სომალიდან არიან, რადგან სამხრეთ და ცენტრალურ სომალიში ჯერ არ დამკვიდრებულა ისეთი სიტუაცია, რომელიც სამხრეთ და ცენტრალურ რეგიონებში მასიური დაბრუნების პირობებს შექმნიდა." UNHCR, *სიტუაცია იემენში: ლტოლვილთა და მიგრანტთა სიტუაციაზე რეგიონული რეაგირების გეგმის მიმოხილვა 2015 წლის ოქტომბერი-დეკემბერი/2016 წლის იანვარი-დეკემბერი (წინასწარი შეფასება),* 2015 წლის ოქტომბერი http://data.unhcr.org/yemen/download.php?id=58, გვ. 5, 37-38, 43. იხ. აგრეთვე, მსოფლიო სასურსათო პროგრამა, *On the Run Again: Somali Refugees Return Home from Yemen,* 2015 წლის 28 აგვისტო, https://www.wfp.org/stories/somali-refugees-yemen

კონფლიქტის მიუხედავად, 2015 წელს იემენში ათასობით სომალელი ჩავიდა.[73]

ლტოლვილთა დაცვა 1951 წლის კონვენციის ან რეგიონული დოკუმენტების საფუძველზე, და დაცვის დამატებითი ფორმების მიღების უფლებამოსილება

16. სომალის მოქალაქეებთან დაკავშირებით, რომლებიც წარმოშობით სომალის სამხრეთი და ცენტრალური რეგიონებიდან არიან და საერთაშორისო დაცვას აფრიკის კავშირის ქვეყნებს გარეთ ეძებენ, UNHCR-ს სურს შეახსენოს, რომ მრავალ ასეთ განმცხადებელს აქვს მახასიათებლები, რომელთა საფუძველზე ისინი შეიძლება დაექვემდებარონ 1951 წლის კონვენციას ლტოლვილთა შესახებ.[74] აფრიკის კავშირის წევრ სახელმწიფოებში ლტოლვილის საერთაშორისო დაცვის მიღების უფლება შეიძლება განხილული იქნეს აფრიკის კავშირის ორგანიზაციის 1969 წლის კონვენციის საფუძველზე.[75]

17. სამხრეთი და ცენტრალური სომალის ფარგლებში იძულებითი გადაადგილებისა და ადგილმონაცვლეობის ალტერნატივის შესაძლებლობასთან (IFA/IRA)

---

[73] "ბოლო მონაცემები ზღვით შემოსულთა შესახებ უჩვენებს, რომ 2015 წელს იემენში ნავებით/ხომალდებით 92446 ადამიანი შემოვიდა […] 2015 წელს შემოსულთა 90 პროცენტი (82,268) ეთიოპიიდან იყვნენ […]" UNHCR, *UNHCR Warns Against Perilous Horn of Africa Sea Crossings,* 2016 წლის 19 იანვარი, http://www.unhcr.org/569e3b19530.html; UNHCR, *სიტუაცია იემენში: მოსახლეობის მოძრაობა იემენიდან და იემენში,* 2015 წლის 1 დეკემბერი, http://data.unhcr.org/yemen/documents.php?page=2&view=grid; UNHCR, *სომალელი ლტოლვილები აფრიკის რქისა და იემენის ტერიტორიაზე - 2015 წლის ნოემბერი,* 2015 წლის 7 დეკემბერი, http://www.refworld.org/docid/566685904.html.

[74] იხ. UNHCR, *სამხრეთი და ცენტრალური სომალიდან გაქცეულ პირთა საერთაშორისო დაცვის საკითხი,* 2014 წლის 17 იანვარი, HCR/PC/SOM/14/01, http://www.refworld.org/docid/52d7fc5f4.html

[75] იხ. აფრიკის კავშირის ორგანიზაციის კონვენცია „აფრიკაში ლტოლვილთა პრობლემების სპეციფიკური ასპექტების მართვის შესახებ", მუხლი 1.1. და 1.2. ("OAU Convention"), 1969 წლის 10 სექტემბერი, 1001 U.N.T.S. 45, http://www.refworld.org/docid/3ae6b36018.html. აფრიკის კავშირის ფარგლებს გარეთ, შეიძლება გამოყენებული იქნეს ლტოლვილთა დაცვის უფრო ფართო კრიტერიუმები. ეს მოიცავს კართაგენის დეკლარაციას ლტოლვილთა შესახებ, *კოლოკვიუმი ცენტრალურ ამერიკაში, მექსიკასა და პანამაში ლტოლვილთა საერთაშორისო დაცვის შესახებ,* 1984 წლის 22 ნოემბერი, http://www.refworld.org/docid/3ae6b36ec.html. კართაგენის დეკლარაცია სამართლებრივად არასავალდებულო რეგიონულ დოკუმენტს მიეკუთვნება, მაგრამ ამ დოკუმენტში მოცემულმა ლტოლვილის დეფინიციამ რეგიონში განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა, და არა მხოლოდ იმიტომ, რომ იგი 14 ეროვნულ კანონსა და სახელმწიფო პრაქტიკაში არის ჩართული. კართაგენის დეკლარაციაში ლტოლვილის დეფინიციის განმარტების შესახებ იხ. UNHCR, *Summary Conclusions on the Interpretation of the Extended Refugee Definition in the 1984 Cartagena Declaration: 2013 წლის 15-16 ოქტომბერის მრგვალი მაგიდის დისკუსია, მონტევიდეო, ურუგვაი, 2014 წლის 7 ივლისი,* http://www.refworld.org/docid/53c52e7d4.html. ევროპის კავშირის წევრ სახელმწიფოებში შეიძლება განხილული იქნეს სუბსიდიური დაცვა, საკვალიფიკაციო დირექტივის მე-2(f) and მე-15 მუხლების საფუძველზე: ევროპის კავშირი, ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივა *2011/95/EU, მესამე ქვეყნის მოქალაქეთა ან მოქალაქეობის არმქონე პირთა საერთაშორისო დაცვის ბენეფიციარებად კვალიფიცირების, ლტოლვილთა ან სუბსიდიური დაცვის მიღების უფლების მქონე პირთა ერთიანი სტატუსის და მინიჭებული დაცვის შინაარსის შესახებ (განახლებული),* 2011 წლის 13 დეკემბერი, http://www.refworld.org/docid/4f06fa5e2.html

დაკავშირებით UNHCR-ის პოზიცია UNHCR-ს გამოხატული აქვს დოკუმენტში „მოსაზრებები სამხრეთი და ცენტრალური სომალიდან გაქცეული ადამიანების საერთაშორისო დაცვის შესახებ“.[76] თვით მოგადიშუში IFA/IRA-ის შესაძლებლობის შესახებ, UNHCR-ი მიუთითებს, რომ როდესაც განმცხადებელს აქვს სახელმწიფოს ან მისი აგენტის მხრიდან დევნის საფუძვლიანი შიში, აქ უნდა ვივარაუდოთ, რომ სახელმწიფოს მიერ კონტროლირებულ ტერიტორიაზე IFA/IRA-ის განხილვა აქტუალური არ არის. გარდა ამისა, UNHCR-ს მიაჩნია, რომ სომალელებისთვის, რომლებიც ალ-შაბაბისაგან დევნასა და სერიოზულ ზიანს გაურბიან, IFA/IRA-ის შეთავაზება სახელმწიფოს მხრიდან დაცვის გარანტიით, მოგადიშუში ზოგადად შესაძლებელი არ არის, მიუხედავად იმისა, რომ ქალაქს აკონტროლებენ სამთავრობო ძალები, რომლებსაც AMISOM-ის ჯარები ეხმარებიან. ეს განსაკუთრებით ეხება იმ სომალელებს, რომლებიც ალ-შაბაბს სამიზნეთა სიაში ჰყავს შეყვანილი.

18. იმ განმცხადებლებისთვის, რომელთა მიმართ მოგადიშუში IFA/IRA-ი რელევანტურად არის მიჩნეული, აუცილებლად უნდა შეფასდეს შეთავაზებული IFA/IRA-ის <u>მიზანშეწონილობა</u>. ამ თვალსაზრისით, UNHCR-ს მიაჩნია, რომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგ ფაქტორებს: რა დონის რეალური დახმარების მოლოდინი აქვს განმცხადებელს, ტრადიციული დახმარების მექანიზმის ზოგადი შესუსტების ფონზე, მისი უშუალო ოჯახისაგან ან ტომისაგან; საბაზისო ინფრასტრუქტურის არსებობა და სერვისებზე მისაწვდომობა ადგილმონაცვლეობის შეთავაზებულ ტერიტორიაზე; თავშესაფარზე მისაწვდომობა ადგილმონაცვლეობის შეთავაზებულ ტერიტორიაზე; და საარსებო საშუალებათა მოპოვების შესაძლებლობები.

19. როდესაც გადაადგილებისთვის შეთავაზებული ადგილი ურბანულ ტერიტორიას მიეკუთვნება, სადაც განმცხადებელს არა აქვს ხელმისაწვდომობა წინასწარ განსაზღვრულ ჩასახლების ადგილზე და საარსებო საშუალებებზე, და სადაც იგი,

---

[76] UNHCR, *სამხრეთი და ცენტრალური სომალიდან გამოქცეულ ადამიანთა საერთაშორისო დაცვის საკითხის განხილვა,* 2014 წლის 17 იანვარი, HCR/PC/SOM/14/01, http://www.refworld.org/docid/52d7fc5f4.html, გვ. 13-15, 17. შესაძლო შიდა გადაადგილების განხილვა ზოგადად აქტუალური არ არის ლტოლვილის სტატუსის დადგენასთან აფრიკის კავშირის ორგანიზაციის კონვენციის I(2) მუხლის საფუძველზე. UNHCR, *საერთაშორისო დაცვის გაიდლაინები No. 4: "შიდა გადაადგილება ან ადგილმონაცვლეობის ალტერნატივა" ლტოლვილის სტატუსის შესახებ 1951 წლის კონვენციის 1A(2) მუხლის და/ან 1967 წლის ოქმის კონტექსტში,* HCR/GIP/03/04, 2003 წლის 23 ივლისი, http://www.refworld.org/docid/3f2791a44.html, პარ. 5. 1969 წლის კონვენციის მუხლი I(2) განავრცობს ლტოლვილის დეფინიციას, და იგი მოიცავს „თითოეულ პირს, ვინც, *თავისი წარმოშობის ან მოქალაქეობის ქვეყანაში ან მის ნაწილში* განხორციელებული გარეშე აგრესიის, ოკუპაციის, უცხოური დომინირების ან ისეთი მოვლენების გამო, რომლებიც სერიოზულად აფერხებს საზოგადოებრივ წესრიგს, იძულებულია დატოვოს მისი ჰაბიტუალური ბინადრობის ადგილი, რათა თავშესაფარი ეძებოს სხვა ადგილზე, მისი წარმოშობის ან მოქალაქეობის ქვეყნის გარეთ“ [ხაზგასმა დამატებულია]. იგივე მოსაზრება ეხება ინდივიდუალურ პირებს, რომლებზედაც ვრცელდება ბანგკოკის პრინციპების მე-2 მუხლში მოცემული ლტოლვილის დეფინიცია, რომელიც აფრიკის კავშირის ორგანიზაციის 1969 წლის კონვენციის დეფინიციის იდენტურია“.

გონივრული მოსალოდნელობის ფარგლებში, დახმარებისთვის ვერ მიმართავს რაიმე ქმედითი დახმარების ქსელებს, განმცხადებელი სავარაუდოდ აღმოჩნდება ურბანულ იგპ-თა მსგავს სიტუაციაში. ასეთ გარემოებებში, IFA/IRA-ის მიზანშეწონილობის შეფასებისთვის, არბიტრმა უნდა გაითვალისწინოს შიდა გადაადგილების მასშტაბი პერსპექტიული ადგილმონაცვლეობის ტერიტორიაზე და იგპ-თა მდგომარეობა იმ ადგილზე, ასევე ის ფაქტიც, რომ ბევრი იგპ-ის მიმართ ხდება ადამიანის უფლებათა დარღვევები, იძულებითი გამოსახლების ჩათვლით.

UNHCR-ის პოზიცია იძულებით დაბრუნებასთან დაკავშირებით

20. ამჟამად არსებული გარემოებების ფონზე, UNHCR-ი კვლავ მიმართავს სახელმწიფოებს, თავი შეიკავონ ნებისმიერი პირის იძულებითი დაბრუნებისაგან სამხრეთი და ცენტრალური სომალის ტერიტორიაზე, რომელიც დაზარალებულია სამხედრო მოქმედებით და/ან შემდგომ იძულებით გადაადგილებას გამოიწვევს, არასტაბილური და საფრთხის შემცველია ბოლო პერიოდის სამხედრო მოქმედებათა გამო, ან კვლავ იმყოფება არასახელმწიფო შეიარაღებული ჯგუფების სრული ან ნაწილობრივი კონტროლის ქვეშ. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის საფუძველზე ნაკისრი არგაძევების (*non-refoulement*) ზოგადი ვალდებულებები შეიძლება გამოყენებული იქნეს სამხრეთ და ცენტრალურ სომალიში სომალელთა იძლებითი დაბრუნების კონტექსტში.

სპონტანური და ორგანიზებული დაბრუნება

21. ცალკეულ სომალელ პირებს, რომლებიც ქვეყნის გარეთ იმყოფებიან და სომალის სამხრეთ და ცენტრალურ ნაწილში სპონტანურად დაბრუნებას გეგმავენ, თუ შესაძლებელია, უნდა მიეწოდოთ მაქსიმალურად დეტალური ინფორმაცია მათი წარმოშობის ადგილზე არსებული სიტუაციის შესახებ, რათა მათ გაითვალისწინონ უსაფრთხოების, მმართველობის და საარსებო პირობების სიტუაცია და გააკეთონ სრულად ინფორმირებული არჩევანი.

22. ცალკეულ სომალელ პირებს, რომლებიც ქვეყნის გარეთ იმყოფებიან და სომალიში დაბრუნება სურთ, მაგრამ მათი წარმოშობის ადგილზე ვერ ბრუნდებიან იქ არსებული სახიფათო და სხვა არახელაყრელი გარემოებების გამო, უნდა მიეწოდოთ მაქსიმალურად დეტალური ინფორმაცია ჩასახლების ადგილზე არსებული სიტუაციის შესახებ. მათ, ვინც მოგადიშუში წასვლას გეგმავს, უნდა მიეწოდოთ ინფორმაცია ქალაქში იგპ-თა სიტუაციის შესახებ, კერძოდ, უსაფრთხოების, დაბინავებისა და საარსებო საშუალებათა საკითხზე, ვინაიდან, დაბრუნებული პირები, რომლებიც წარმოშობით მოგადიშუდან არ არიან, სავარაუდოდ იმავე პრობლემების წინაშე დადგებიან, რომელთა წინაშეც დგანან დღეს იქ მყოფი იძულებით გადაადგილებული პირები. მათ მსგავსად უნდა იქნენ განხილული ის სომალელები, რომლებიც დაბრუნებას აპირებენ სამხრეთი ან ცენტრალური სომალის სხვა ქალაქებსა და დაბებში, რომლებიც მათი მშობლიური ადგილი არ არის.

23. სამმხრივი შეთანხმება, რომელიც კენიიდან სომალიში დაბრუნებას არეგულირებს,[77] ზემოქმედებას არ ახდენს სომალელი თავშესაფრის მაძიებელთა საერთაშორისო დაცვის საჭიროებათა შეფასებაზე. სხვა ქვეყნების მოქალაქეთა მსგავსად, ის ფაქტი, რომ კონკრეტულმა სომალელმა შეიძლება თავის ქვეყანაში დაბრუნება გადაწყვიტოს იქ არსებული არახელსაყრელი გარემოებების მიუხედავად, არ ცვლის იმ რეალობას, რომ მრავალ სომალელს[78] კვლავ სჭირდება საერთაშროსო დაცვა - ან 1951 წლის კონვენციის საფუძვლებით, ან OAU-ის 1969 წლის კონვენციის კრიტერიუმების საფუძველზე, ან იმ საფუძვლებით, რომლებიც მათ საერთაშორისო დაცვის უფრო ფართო კრიტერიუმებს დაუქვემდებარებს.[79]

24. UNHCR-ი მხარს უჭერს მეზობელი ან რეგიონის ქვეყნებიდან სომალელთა ნებაყოფლობით დაბრუნებას, იმ პირობით, რომ ლტოლვილთა გადაწყვეტილება იქნება სრულად ინფორმირებული და ნებაყოფლობითი. სომალელ მოქალაქეთა ნებაყოფლობითი რეპატრიაციისთვის ხელშეწყობამდე, UNHCR-ი გადაამოწმებს და დაადასტურებს სომალის კონკრეტულ ადგილზე მათი დაბრუნების გადაწყვეტილების ნებაყოფლობითობას, არის თუ არა ეს წარმოშობის ან ალტერნატიული დაბინავების ადგილი, რისთვისაც მოხდება ინდივიდუალური ინტერვიუს ჩატარება დაბრუნების განზრახვის მქონე ოჯახების ყველა წევრთან.

25. სომალიში დაბრუნებისთვის UNHCR-ის მიერ გაწეული ნებისმიერი დახმარების მიზანი არის ხელი შეუწყოს ინდივიდუალურ პირებს, რომლებიც, მათი წარმოშობის ადგილის ან მათ მიერ არჩეული ალტერნატიული ადგილის შესახებ სრული ინფორმაციის ფლობის ფონზე, ნებაყოფლობით დაბრუნებას ირჩევენ. სომალელთა ნებაყოფლობით რეპატრიაციაში UNHCR-ის მიერ შესრულებული ნებისმიერი როლი და UNHCR-ის ნებისმიერი ჩარევა, რომელიც მიზნად ისახავს სომალიში დაბრუნებულთა და იგპ-თა მდგრად რეინტეგრაციას, არ უნდა იქნეს გაიგივებული UNHCR-ის მხრიდან სომალიში უსაფრთხოების ან სხვა ასპექტების შეფასებასთან იმ პირთათვის, რომლებსაც საერთაშორისო დაცვის განაცხადი აქვთ წარდგენილი თავშესაფრის ქვეყნებში. ამ თვალსაზრისით უნდა აღინიშნოს, რომ ნებაყოფლობითი რეპატრიაცია და იძულებითი დაბრუნება ძირეულად განსხვავებული ბუნების პროცესებია, სადაც პასუხისმგებლობა ეკისრება მათში ჩართულ სხვადასხვა აქტორს.

UNHCR, 2016 წლის მაისი

---

[77] იხ. სქოლიო 2.

[78] 2014 წელს 19 857 სომალელმა მოითხოვა საერთაშორისო დაცვა 44 ინდუსტრიალიზებულ სახელმწიფოში. UNHCR, *UNHCR თავშესაფრის ტენდენციები - 2014,* 2015 წლის მარტი, http://www.unhcr.org/551128679.html, ცხრილი 3. 2014 წელს, ევროპის კავშირის 28 სახელმიფოში, სულ 8 905 გადაწყვეტილება იქნა მიღებული პირველი ინსტანციით სომალელთა საერთაშორისო დაცვის განაცხადებზე. ამ გადაწყვეტილებათაგან 5 855 იყო დადებითი, ანუ, პირველი ინსტანციის გადაწყვეტილებებით დაცვის ხვედრითმა წილმა 65,7 პროცენტი შეადგინა.

[79] აფრიკის კავშირის ფარგლებს გარეთ შეიძლება გამოყენებული იქნეს საერთაშორისო დაცვის სხვა კრიტერიუმები.